

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

## \*2424

ილია II - „ყველაზე ერთად მოვინანიოთ ცოდვები“

A2



ბთხოვ, არ გადავტოვო!

A10



თბილისისთვის ევროკავშირის ვერსიის და ორი ბრინჯაოთი დასრულდა

A13



## 24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



# სად არის რეფორმების ბაზრძელების რესურსი?

ცნობილი სახეები სამოქალაქო საზოგადოების ნაცვლად

დავ კვიციანი

იდეის გარდაუვალი მარცხისგან გამონეწული შოკი ოპოზიციამ უკვე მიიღო, მაგრამ დღეს მათ უდიდეს ნაწილს დასაკარგი აღარაფერი დარჩა, რადგან, რადიკალური გამოხვედრების ფონზე, მორიგი და უკვე მერამდენე ფიასკო ოპო-

ზიციის სრული და ამჯერად საბოლოო მარგინალიზაციის გარანტიაა.

სამაგიეროდ ძალიან ბევრი რამ აქვს დასაკარგი ხელისუფლებას, საერთაშორისო რეპუტაციის ჩათვლით. საერთაშორისო საზოგადოება კი დღეს მას უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს, ვიდრე დასავლურ ქვეყნებს. ძნელი წარმო-

სადგენია, რომელიმე ევროპული დედაქალაქის მთავარი ქუჩები თვითნებურად იყოს გადაკეტილი რკინის მონწყობილობებით, როცა იქ დემონსტრანტების რაოდენობა რამდენიმე ადამიანს არ აღემატება.

უკვე ნათელია, რომ ხელისუფლების ჩაურევლობის პოლიტიკას ოპოზიციის თავის სასარგებლოდ იყენებს და გამოიყენებს ბოროტად

ანუ დაუსრულებლად - სრულიად გაურკვეველი ვადით გადაკეტავს რუსთაველს, თავისუფლების მოედანს, კოსტავას და კიდევ ნებისმიერ იმ ქუჩას, რომელიც თვალში მოუვა. მოაწყობს ნებისმიერი შენობის პიკეტირებას და ასე შემდეგ.

ბაზრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტის კვლადაკვალ

დათო ბაჩიშვილი

პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერები და პროტესტის მონაწილეები თბილისის სხვადასხვა ადგილებში აგრძელებენ მასობრივ შეკრებებს. რუსთაველის გამზირზე მიტინგის მონაწილეთა მხარდასაჭერად დაგეგმილი იყო კონცერტის გამართვა, თუმცა ალიანსი საქართველოსთვის წევრ ლევან მიქელაძის გარდაცვალების გამო საპროტესტო აქციითა ორგანიზატორებმა დაგეგმილი ღონისძიება გააუქმეს. მიუხედავად ამისა, გუშინ პარლამენტის შენობის წინ საინფორმაციო მიტინგი, დაახლოებით, 17:00 საათზე განახლდა. ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ სიტყვით გამოხატა ასე დაიწყო: "მიმძიმს ლაპარაკი, რადგან ჩემი ბავშვობის ძმაცა-ცი გარდაიცვალა და კიდევ ერთი ღირსეული ქართველის სიცოცხლე შეინირა მიხეილ სააკაშვილმა. ლევან მიქელაძე იყო "ალიანსი საქართველოსთვის" აქტიური წევრი და დამფუძნებელი. ის მთელი სახელმწიფო ადმინისტრაციიდან ერთადერთი კაცი იყო, ვინც 7 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგა," - აღნიშნა გაჩეჩილაძემ. ალიანსი საქართველოსთვის წევრის გარდაცვალების შესახებ საუბრისას

საქართველოს ხელისუფლება ახსენა საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა. მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას ზურაბიშვილმა გარდაცვლილი მიქელაძის ოჯახისთვის მისამძიმრების შემდეგ განაცხადა, რომ "ამ ხელისუფლების ხელში არ ვიცი, რა მოხდა, რადგან ესენი ყველაფრის მკადრებელი არიან. ცხადია, გამოსარკვევია, თუ როგორ გარდაიცვალა ლევან მიქელაძე, მაგრამ ჩვენ გვაქვს მიზეზი, რომ კითხვის ნიშანი დავსვათ და სანამ კითხვებზე პასუხს არ მივიღებთ, გვაქვს უფლება, ეს აქვით გულში გვქონდეს." გუშინ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამა-უნწყებლო კომპანია რუსთაველი 2-ის ორ დაღუპულ თანამშრომელს. ამასთანავე, ლევან გაჩეჩილაძემ მომიტინგეებს აცნობა, რომ 19:00 საათზე მიხეილ სააკაშვილს ავლაბრის რეზიდენციაში ესპანეთის დელეგაციასთან შეხვედრა დაგეგმილი შეხვედრა. "ჩვენ 18:00 საათზე აქედან რეზიდენციისკენ დავიძვრებით და არავის შევარჩენთ ქართველების სისხლს. იქ ისე გავმადრდებით, რომ მიხეილ სააკაშვილს შესვლის საშუალებას არ მივცემთ," - აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

ბაზრძელება A2 გვერდზე



ხალისი ანაბეგოვლი, ფოტო

# ისევ აბონენტი 007

ნანილი II

## From Russia with Love

სოფიო თოღაია

აუცილებელი განმარტება: მიუხედავად იმისა, რომ აბონენტი 007 და აგენტი 007 ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან, არის მათში რაღაც საერთო. აგენტი 007, როგორც წესი, გლობალური საკითხების მოგვარებითაა დაკავებული და კაცობრიო-

ბას კატასტროფიდან იხსნის ხოლმე; აბონენტი 007, როგორც წესი, მხოლოდ ლოკალური პრობლემების გარკვევას ცდილობს. ცნობილი აგენტი თავისი ძვირფასი მანქანით ისე გადაადგილდება ექვსივე კონტინენტზე, როგორც უცნობი ჟურნალისტი თბილისის უბნებში ყვითელი ავტობუსებით; აგენტი 007, ჩვეულებრივ, მომხიბვლელ პარტნიო-

რებთან იჭერს საქმეს, აბონენტი 007 კი ნაკლებად მომხიბვლელ ჩინოვნიკებთან არჩევს საქმეებს. ამ უკანასკნელს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, რომ ისიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც მისტერ ბონდია, თუმცა უხარია, რომ მისი და ჯეიმსის გემოვნება ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა. ასე, მაგალითად, სახელმწიფო სტრუქტურებში ხან-

გრძლივი და დამლელი ვოიაჟის შემდეგ ისიც დიდი სიამოვნებით დალევდა არაყს მარტინით (ან პირიქით, მარტინის არყით) - გნებავთ ანჯღრეულს, გნებავთ აუნჯღრეველს. ისე, თუ საქმე ნერვების გამოცდამდე მიდგება, ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის აჯობებს.

ბაზრძელება A4 გვერდზე



# სად არის რეფორმების ბაზრების რეაქსია?

## პირველი გვერდიდან

მით უმეტეს, რომ ეს საქმე მხოლოდ რამდენიმე გალიის დამატებას საჭიროებს და სულაც არ მოითხოვს მომხრეთა რიცხვის გაზრდას ან მათ მობოლიზებას.

ასე რომ, ხელისუფლებას დღეს მართლაც სცოლასა და ქარიბდას შორის სიარული უნევს. რაღაც მომენტში მას იმ ადამიანებმაც შეიძლება მოთხოვონ პასუხი, რომლებიც ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფას ხელისუფლების მთავარ ვალდებულებად მიიჩნევენ. დღეს ნერვების ბრძოლაში არა მხოლოდ ორი მხარე, არამედ მესამეც, საზოგადოების ის ნაწილიც არის ჩათრეული, რომლის პრიორიტეტი ნორმალური, სტაბილური ცხოვრებაა, როცა ბავშვები სკოლაში თუ ბაღში დაუბრკოლებლად მიჰყავს, სახლში მანქანით მისვლა არ უჭირს და სამსახურში შესასვლელად პიკეტების გავლა არ უნევს.

და რისთვის გვინევს ამ ყველაფრის გადატანა?

ჩვენ ზუსტად ან მეტ-ნაკლებად ზუსტად ვიცოდით, რისთვის ვიბრძოდით ვარდების რევოლუციის დროს - ეს, პირველ რიგში, სახელმწიფოსთვის ბრძოლა იყო - რადგან ის, რაც მანამდე გეჰქონდა, ყველაფერი იყო სახელმწიფოს გარდა. ჩვენ ისიც ვიცოდით, ვინ მოდიოდა ხელი-სუფლებაში - რა წარსული და რა პოლიტიკური პოტენციალი ჰქონდათ ამ ადამიანებს; რაც მთავარია - ეს რევოლუცია ასე თუ ისე ეფუძნებოდა ერთიან ღირებულებით სისტემას და შეთანხმებას იმაზე, რომ ლიბერალური დემოკრატიისთვის ვიბრძოდით.

დღევანდელი ბრძოლის მიზანი კი იმდენგვარია, რამდენიც ქუჩაში შეკრებილი ინტერესთა ჯგუფი. ძნელი მისახვედია, დღეს რა ერთიანი იდეის გარშემო უნევს კონსოლიდაცია ჯანსუღ ჩარკვიანს, სალომე ზურაბიშვილს, ზვიად ძიძიგურს, დავით უსუფაშვილს, რომიკო სტურუას, ნინო ბურჯანაძეს, ვირტუალურ საკანში გამოხვედრულ უცნობს, დემოკრატიისთვის გაულწრფელად მებრძოლ რატი

ამალობელს თუ იმ ადამიანს, რომელსაც ხელისუფლებისგან საჩუქრად მიღებული გვარჯილა არ აკმაყოფილებს.

სულ რამდენიმე დღეში დამთავრდება ეს კომპარი ქართველებისთვის და დაინება ყველაზე მაგარი ხანა, რომელსაც ასე საუკუნეების განმავლობაში ნატრულობს ქართველი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უბედურება ძალიან მალე ძალიან დიდ ბედნიერებად ექცევა ქართველ ხალხს," - ასე ამბობდა უცნობი, მაგრამ დაავინყვავ განემარტა უბრალო მოკვდავთათვის, ანუ მათთვის, ვისაც მისი არ სწამს და მისი სიტყვების განჭვრეტა არ ძალუძს, რას ნიშნავს "ძალიან მაგარი ხანა"; ისევე, როგორც არასოდეს განუმარტავს, რას ნიშნავს "ჯიჯრული რეფერენდუმი და ჯიჯრული არჩევნები!"

ხელისუფლების მიერ გატარებული კურსი ბევრი მიმართულებით იმსახურებს კრიტიკას და ბადებს კითხვებს - რამდენად სწორად და სრულყოფილად ტარდება რეფორმები? ექმნით თუ არა კანონზე დამყარებულ საერო სახელმწიფოს? რა პრობლემები აქვს თავისუფალ მედიას, სასამართლოს, საარჩევნო სისტემას და ასე შემდეგ? დღეს ამ თემებზე ჯანსაღი დიალოგისა და კრიტიკის სერიოზული დეფიციტია. თუმცა ის საპროტესტო მუხტი, რომელიც თანდათან რკინის გალიებში ტრანსფორმირდა, სამუხაროდ, არანაირ იმპულსს ამ ტიპის დიალოგისათვის არ იძლევა.

რა თქმა უნდა, დღესაც ოპოზიციის დეკლარებული მიზანი ისევ დემოკრატიული ქვეყნისთვის ბრძოლაა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ოპოზიციის ლიდერების დიდ ნაწილს ზუსტად ესმის, რას ნიშნავს ევროპული ტიპის ლიბერალური დემოკრატია, ან თუ ესმის, ასეთი ტიპის დემოკრატია უნდა საქართველოში? ყოველ შემთხვევაში, მათი "ჯიჯრული კრიტიკა", საინფორმაციო მტკიცების საფუძველს უფრო იძლევა და არც მათი ქცევა იძლევა იმის იმედს, რომ ეს ადამიანები მართლაც დემოკრატიული ღირებულებებისთვის - სიტყვის, გამოხატვის თა-

ვისუფლებისთვის იბძვიან, ძალადობას პროტესტს უცხადებენ ან ადამიანის ღირსებას სცემენ პატივს.

ამ პოლიტიკური თუ სულიერი ლიდერების მიზანი, მხოლოდ მათვის სასურველი კომფორტის შექმნაა, რომელსაც არაფერი არ აქვს საერთო ნესრიგის მოყვარულ დასავლურ დემოკრატიასთან - ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ციტატაც გამოდგება ვირტუალური საკინდან (ამ დაუშრეტელი საგანძურებიდან).

**"მათ აქეთ სხვა ფსიქოლოგია - დილით გადიან, მუშაობენ... ჩვენ კი სხვა ვართ."** - უცნობი.

**"ალასანიას ხმა რომ დაურხიეს, რომელიც ბანდაში იყო - იმედოვნებოდა, იქნება ქუჩაც ნანახი აქვს ამ ბიჭს და რაღაცა ნესებს ემორჩილება."** - უცნობი.

**"ენა, მამული, სარწმუნოება წამართვა მიშამ მე, ისევე როგორც ახალგაზრდებს."** - ნინელი ჭანკვეტაძე (როგორ ნათვია და მერე სად გადაშალა ეს ნართმეული სამი საუწუცი, მას არ დაუკონკრეტებია).

**"როცა კანონი არ კანონობს და ადამიანი სჩადის დანაშაულს, ადამიანი იქცევა კანონად,"** - სოსო ჯაჭვლიანი.

**"ფაშიზმა ააყვავა გერმანია,"** - რეზო ესაძე.

**"ვანესა რედგრივი მირეკავს და ვიღაცა სოფელი უგულავა მაიგნორირებს,"** - ქეთი დოლიძე.

5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების გასაშუქებლად ჩამოშალა "ეკონომისტის" ყურნალისტი დაბნეული ვითხვებოდა თავის ქართველ ასისტენტს - რას გულისხმობდნენ არჩევნების რიგში ჩამდგარი ძვირფასქურთუკიანი და ძვირფასსუნამოანი ქალები, როცა ამბობდნენ, რომ სააკაშვილმა მათი ღირსება შელახა. ამ ყურნალისტს მაშინ ქეთი დოლიძის ეს სიტყვები არ მოუხმენია, სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქმის არსს ვაცილებით მალე და უკეთ ჩანვებოდა.

საბედისწერი სიტყვა "ჩარეცხილები" პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრაზე იხმარა, როცა ერთიან ეროვნულ გა-

მოცდებში გასულ ახალგაზრებს ეუბნებოდა, რომ ადრე პრესტიჟულ ფაკულტეტებზე მოხვედრა ძირითადად მხოლოდ გავლენიანი ადამიანების, ცნობილი ვერელებისა და ვაკელების შვილებს შეეძლოთ, რომ დღეს ეს სოციალური ჯგუფი იმიტომ მაა გაზრახებული, რომ ეს პრივილეგია დაკარგა. მაგრამ ასეთი აზროვნება და ეს ადამიანები უკვე ჩარეცხილები არიან, - თქვა მაშინ სააკაშვილმა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს შეეძლო უფრო დელიკატური და დიპლომატიური ყოფილიყო და სიტყვა "ჩარეცხილები" არ ეხმარა. მაგრამ, არსობრივად მისი ნათქვამი სრულიად შეესაბამებოდა სიმართლეს.

რა თქმა უნდა, რევოლუციის შემდეგ გავლენიანი სოციალური სტატუსის ადამიანების "ღირსება" ანუ პრივილეგიები შეილახა და მათი გამძვინვარების მიზეზი სწორედ ეს არის. შეუძლებელია სხვა რამით აიხნას დღეს ხელოვნების მუშაკთა აღშფოთება, რომლებსაც შევარდნაძის დროს, როგორც მინიმუმ, ერთი საპროტესტო სიტყვაც არ დასცდენიათ. მაშინ მათი ღირსება სათანადოდ იყო დაცული.

ამიტომაც იყო, რომ ნოემბრის საპროტესტო აქციებმა ბევრი ვერაფერი შემატა ქართულ დემოკრატიას - თუ ტელევიზორებში რამდენიმე ტოკ-შოუს გაჩენას არ ჩავთვლით. სამაგიეროდ დაკარგული პრივილეგიების აღდგენის პროცესი დაინიშნა - რომელიც ამ ახალ წელს ინტელიგენციისთვის მირთმეულმა ინდაურიანმა ხონჩებმა დაავრთვეს. მაგრამ, მთავრობამ მათი გული მაინც ვერ მოიგო. მართალია, ქეთი დოლიძემ თანამდებობა მიიღო, მაგრამ "სოფელს უგულავაზე" წყენასულ არ დაინყებია და დღეს ისევ მიტინგების ავანგარდიაა, ისევე, როგორც მისი სხვა თანამოაზრე. მათ გაკვეთილი უკვე ისინავლეს - რაც უფრო მეტს იყვირებენ, ხელისუფლებისგან უფრო მეტს ისარგებლებენ.

სამაგიეროდ, გაკვეთილი ვერ გამოიტანა თავად ხელისუფლებამ - ოპოზიციის ინტელიგენციას ისევ საკუთარ ინტელიგენციას "უპირისპირებს". მაშინ, როცა

# მონანილა „ტრანზიტორის“ სტატუსით

## საქართველო ევროპის ენერგოსაფრთხოებაში წამყვანი როლის თამაშს ცდის

### თამარ ხორბალაძე

საქართველო ევროპის ენერგოსაფრთხოების სისტემებში სატრანზიტორი როლს კისრულობს. მიუხედავად პოლიტიკური არასტაბილურობისა, აპრილი ამ თვალსაზრისით ქვეყნისთვის საკმაოდ საინტერესო იყო. გასული კვირის მიწურულს სოფიაში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთის მცდელობების მიუხედავად, ნაბუკოს პროექტის განხორციელება ევროპისთვის, პრაქტიკულად, პირველი რიგის პრიორიტეტებშია. თუმცა საქართველოს ხელისუფლება, რომელიც სოფიაში ნაბუკოს ტრანზიტორი ქვეყნის სტატუსით იყო მიწვეული, ამ პროექტთან ერთად ევროპისთვის უკვე "თეთრი ნაკადის" აქტიურად შეთანხმებას გეგმავს. ევროპის ენერგოსაფრთხოების სამიტზე, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქში გაიმართა, დეკლარაცია მიიღეს. დეკლარაციაში არ არის დაფიქსირებული არც ერთი კონკრეტული პროექტი - არც სამხრეთ ნაკადი (რომელიც რუსეთისა და შავი ზღვის ტერიტორიული წყლების გავლით უკავშირდება თურქეთს), რომელსაც რუსეთი ლობირებდა; არც "ნაბუკო", რომელიც დღეს ევროკავშირის განსაკუთრებულად აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს; არც "თეთრი ნაკადი", რომლის ირგვლივაც საქართველო და ზოგიერთი სხვა ქვეყანა ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა. მაგრამ, საგულისხმოა, რომ დეკლარაციაში პრიორიტეტულ მიმართულებად კასპიისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნები დასახელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოზე გამავალი პროექტები კვლავ პრიორიტეტულად რჩება. **მთავარია, რომ დეკლარაცია მიღებულია, რომლის ტექსტიც დისკუსიების მიუხედავად, კონსენსუსის საფუძველზე მივიღეთ. დეკლარაციაში არც ერთი კონკრეტული პროექტი არ არის საუბარი. ძნელია ითქვას, რომ "ნაბუკო" და "თეთრი ნაკადი" ალტერნატიული პროექტებია. ამ მარშრუ-**

ტებში უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესები. "თეთრი ნაკადის" შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნებს შორის პოლიტიკურ თანხმობასა და დაინანსებაზე დამოკიდებულია," - განაცხადა ბულგარეთის პრეზიდენტმა გეორგ პირვანოვმა. ქვეყნის ვიცე-პრემიერ ივანოვი კალდინის განცხადებით კი, ერთმანეთთან არ უნდა გაივიდეს კავკასიის დერეფანი და რუსეთის ნაკადი, რადგან ამ დერეფანში შუდის ნაბუკოც, თეთრი ნაკადიც, თურქეთი, იტალია და საბერძნეთი. **"სამხრეთ ნაკადი" კი ამ პროექტის კონკურენტია. ევროპა ამაჟამად "სამხრეთ ნაკადის" თემის განხილვას არ გეგმავს, რადგან ეს არ არის სტრატეგიული პროექტი,"** - განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ცნობისათვის - სოფიაში სამიტზე ქართული მხარის ტრანზიტორი ქვეყნის სტატუსით მიწვევის გამო ბულგარეთში წასვლისგან თავი შეიკნა რუსეთის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა. რუსულ მხარეს ენერგეტიკის მინისტრი სერგეი შმუტკო წარმოადგენდა. რუსეთი შეეცადა, სამიტის განმარტებლების გამო გალიზიანება არ გამოეხატა: **"სამართლიანია, რომ დეკლარაციაში "სამხრეთ ნაკადი" არ არის ნახსენები, რადგან დოკუმენტში არც ერთი სხვა კონკრეტული პროექტი არ შესულა,"** - განაცხადა შმუტკომ. თუმცა, ნაბუკოს პროექტის მიმართ ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუს მიერ დაფიქსირებულმა აქტიურმა მხარდაჭერამ და სამიტზე რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის თემის აქტუალობამ ნათელიყო, რომ ეს პროექტი "გაყინული" მდგომარეობიდან უკვე გამოსულია. 8 მაისს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ჩეხეთში, კერძოდ პრაღაში, გაიმართება იმ ქვეყნების მეთაურთა არაფორმალური სამიტი, რომლებზეც დამოკიდებულია ნაბუკოს პროექტის რეალიზაცია. გავრცელებული ინფორმაციით, ჩეხეთი სამიტზე ოფიციალურ მიწვევას აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, საქართველოსა და თურქეთის მთავრობისა და სახელმწიფო მეთაურებს გაუგზავნის. დამკვირვებლის სტატუსით სამიტზე მიწ-

ვევენ ერასუს, ეგვიპტეს და უზბეკეთს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მსჯელობა ანალოგიური სტატუსით სამიტზე რუსეთის მიწვევისთვის. სამიტზე "ნაბუკოს" შესახებ პრაქტიკულად საბოლოო გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული. ამ პროექტის წარმატების შანსებს ზრდის ისიც, რომ მართალია ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია "სოკრას" და "გაზპრომის" შორის გაზის მინიდების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო, რამაც აზერბაიჯანის არჩევანის მიმართ ეჭვები გააჩინა, მაგრამ ნაბუკოს პროექტით აქტიურად დაინტერესდა თურქმენეთი, რისი წყალობითაც ამ პროექტის ბუნებრივი აირით "დატვირთვას" საფრთხე უკვე აღარ ემუქრება. 9 აპრილს თურქმენეთის მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, რომელშიც თურქმენეთი "გაზპრომს" დებს ბრალს, ამ ქვეყანამ საკუთარი ბუნებრივი აირის ბაზრის დივერსიფიკაციად გადაწყვეტილება მიიღო და "ნაბუკოს" დაინტერესებაც გამოთქვა. უკვე 16 აპრილს თურქმენეთმა გააფორმა შეთანხმება ბუნებრივი აირის სფეროში გერმანულ ენერგოკომპანია RWE-სთან, რომელიც "ნაბუკოს" პროექტის მონაწილეა. ექსპერტთა განცხადებით, ეს კიდევ უფრო ზრდის ნაბუკოს პროექტის შანსებს რუსული სამხრეთის ნაკადის წინააღმდეგ. გასულ კვირას კი თურქმენეთში გაზის საკითხებზე კონფერენციაც შედგა, რომელშიც საქართველოც მონაწილეობდა.

2009 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის გაზის ომის შემდეგ, მათ შორის - ბოლო ერთი კვირის მანძილზე განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ შეიძლება, ნაბუკოს პროექტი გაზით სრულად წინასწარ ნავარაუდევზე ადრე დაიჭვივოს. ამის შესახებ Nabucco gas pipeline international-ის ხელმძღვანელმა რეინხარდ მიშტეკმა გასულ კვირას გააკეთა განცხადება. ცნობისათვის - "ნაბუკოს" პროექტი პირველ ეტაპზე ბაქო-თბილისი-ერზერულის გაზსადენის გაგრძელებაზე ახალი მილსადენის შენეებლობას ითვალისწინებს. ამ მილსადენით, საქართველოსა და თურქეთის გავლით, ევროპის მიმართულებით უნდა მოხდეს აზერბაიჯანული და შუ-

ააზიური გაზის ტრანსპორტირება. პირველ ეტაპზე, გაზსადენის მეშვეობით წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი. გაზსადენის სიგრძე, დაახლოებით, 3300 კილომეტრია, პროექტის ღირებულება კი, დაახლოებით, 7,9 მილიარდი ევრო. პროექტის პირველი ეტაპის დასრულება და გაზსადენის დატვირთვა, ოპტიმისტური გათვლებით, 2014 წლისთვის იგარაუდება.

ცხადია, ამ პროექტში ტრანზიტორის სტატუსით მონაწილეობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა საინტერესოა, რომ "ნაბუკოს" პარალელურად საქართველომ აქტიურად დაინიშნა "უაზბარი" "თეთრი ნაკადის" განხორციელების პერსპექტივაზე.

3 აპრილს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში თეთრი ნაკადის პროექტის შესახებ კომპანია White Stream Pipeline Company Limited-სა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, მემორანდუმით ორივე მხარე თეთრი ნაკადის გაზსადენის პროექტის განხორციელებისთვის თანამშრომლობაზე საკუთარ ნებას გამოხატავს. თეთრი ნაკადის პროექტი კასპიის რეგიონიდან ბუნებრივი აირის რუმიწეთსა და უკრაინაში ტრანსპორტირებას, აგრეთვე სამომავლოდ ცენტრალური ევროპის მიმართულებას გულისხმობს. პროექტის მიხედვით, ბუნებრივი აირი სუფსამდე, ანუ მან ზღვამდე სამხრეთ კავკასიური გაზსადენის არსებული შტოს მეშვეობით მივა, საიდანაც მისი რუმინეთში ტრანსპორტირება შავი ზღვის გავლით, წყალქვეშა მილით მოხდება. გაზსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 8 მლრდ. მ3 იქნება, რომელიც აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული გაზით მომარაგდება. მოვლენებით კი, შესაძლებელია, თეთრი ნაკადი ტრანსკასპიურ გაზსადენს დაუკავშირდეს. ამ შემთხვევაში წყალქვეშა დამატებითი მილი ჩაიდება და გაზსადენის მთლიანი გამტარუნარიანობა წელიწადში 24-32 მლრდ. მ3-მდე გაიზრდება.

დიდ რეისორ რომიკო სტურუას და საყვარელ მსახიობ ნინელი ჭანკვეტაძის აზრი პოლიტიკაზე ისეთივე არაკომპეტენტური და დილეტანტურია, როგორც ლეგენდარული ბუბა კიკაბიძის თუ მშვენიერი ნანკა კალატოზიშვილის; ან ისევე კომპეტენტურია, როგორც, მაგალითად, ინჟინრის ან ოფის-მენეჯერის, რომელთაც, რატომღაც, არავინ ხვდება. "იდეოლოგიის გამამყარებლები", წინაიბრებდის მსგავსად, როგორც ჩანს, ვერც სააკაშვილმა დათმო, თუმცა ვაცილებით ცუდად შეძლო მათი შენარჩუნება.

მაგრამ, მთავარი ის არის, რომ მსახიობების თუ მომღერლების (ანუ ცნობადი და საყვარელი სახეების) საბჭოურ ფუნქციას საქართველოში ვერ ჩაენაცვლა დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სხვადასხვა სფეროში კომპეტენტურ ოპონირებას გაუწევდა ხელი-სუფლებას. ამ დეფიციტზე მიუთითებს ისიც, რომ ამ დღეებში ვერავინ გაბედა ეთქვა ის, რაც თქვა საფრანგეთის ელჩმა - რომ საკნებით ქუჩების გადაკეტვა არანაირად არ მოდის შესაბამისობაში კანონთან და დემოკრატიული სახელმწიფოს ნორმებთან.

ასე რომ, ამ ქვეყანას მართლაც სჭირდება ძალა, რომელიც იმპულსს მისცემს ცვლილებებს, მაგრამ ამ ფუნქციას გალიებში გამოკეტილი ოპოზიცია ნამდვილად ვერ შესრულებს. სხვა ძალა კი, სამუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს. ეს ყველაფერი ნიშნავს თუ არა იმას, რომ ამ ეტაპზე ლიბერალური რეფორმების გასაგრძელებლად რესურსი აღარც ხელისუფლებას აქვს და აღარც საზოგადოებას? ან თუ აქვს, მაშინ სად არის ეს ძალა და ეს რესურსი?

ოპოზიცია  
"პასუხისმგებლობის  
ქარტიას" ამზადებს

დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოპოზიციას პასუხისმგებლობის ქარტიის მიღებას სთავაზობს.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქვეყანაში შექმნილი ურთულესი კრიზისიდან გამომდინარე, ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებული იყო წინადადება, შექმნილიყო დოკუმენტი, რომელსაც მთელი ოპოზიციური სპექტრი (ან მისი უდიდესი ნაწილი) მოაწერდა ხელს.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახული უნდა იყოს ის მინიმალური ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რასაც ოპოზიცია ხელისუფლებაში არჩევის შემთხვევაში შეასრულებს.

ეს არის ერთგვარი მინიმალური პაკეტი, რაც უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ ნებისმიერ ვითარებაში. ასეთ იდეაზე ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია მუშაობდა და მოხარული ვარ, რომ ასეთი წინადადებით ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფიც მოვიდა და ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ჩვენმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მათთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად იმუშავა ამ დოკუმენტის შექმნაზე. დღეიდან ამ ერთგვარ პასუხისმგებლობის ქარტიას სხვა ოპოზიციურ პარტიებს წარვუდგენ და მათი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შემდეგ, იმედია, ჩვენ საჯაროდ მოვანეროთ მასზე ხელს და გავავრცელებთ. ყველა ხელმოწერი აიღებს პასუხისმგებლობას, რომ ახალი არჩევნების, ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების შემთხვევაში, ის გაატარებს აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილ ქმედებებს. ეს იქნება ერთგვარი გარანტია და დაცვა ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომ ხელისუფლების ცვლის შემდეგ მათ არ დაკარგონ არც ერთი მიღწევა, რაც კი აქამდე ყოფილა და ლეგიტიმურად მოითხოვონ პოლიტიკოსებისგან დამატებითი, ძალზედ კონკრეტული საკითხების მოგვარება," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ოპოზიციური სპექტრი შეურთდება ამ ინიციატივას.

დღეს ჩვენი მოქალაქეებისთვის ნათელია, რატომ უნდა შეცვალოს ხელისუფლება, მაგრამ შესაძლოა, ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყოს, თუ რა იქნება შემდეგ. ამიტომ, პასუხისმგებლობა დღესვე უნდა ვიგრძნოთ თითოეულმა ჩვენგანმა, - აღნიშნავს პარტიის ლიდერი.

ინტერპრესნიუსი

# ისევ აბონენტი 007

პირველი ჰაერში

მართალია, ყოჩაღი მისტერ ბონდი მორიგი რთული მისიით აზერბაიჯანში იმყოფებოდა, მაგრამ უშუალოდ ქართველებთან და მათ გაურკვევლი წარმომავლობის პარტნიორებთან საქმე ჯერ არ დაუჭერია.

წინა წერილში, რომელსაც იგივე სათაური ჰქონდა, ვწერდი, რომ აბონენტი 007 შესაბამის სტრუქტურებს წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას სთხოვდა. ეს შესაბამისი სტრუქტურები ყველასთვის კარგად ნაცნობი "თელასი", "ყაზტრანსგაზთბილისი", "გერთიანებული ტელეკომი" და "თბილისი წყალი" არიან. მას შემდეგ, რაც მათ ამ მოკრძალებული თხოვნით მივმართე, რაც, ცნობისათვის, ჩემი ახირება კი არ არის, არამედ კანონითაა განსაზღვრული, მრავალმა წყალმა ჩაიარა.

პასუხი მხოლოდ "თბილისის წყალსაცხან" მივიღე. იქ განმმარტეს, რომ როგორც კი მოვიდომებ, უმალ ხელშეკრულებას გამიფორმებენ. მონდომებას რაც შეეხება, მე უნდა წარვადგინო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რომელიც, ცნობისათვის, უფასო არ არის, როგორც ამას გვიმტკიცებენ და, სულ მცირე, 50 ლარი ჯდება) ბინის მფლობელობის შესახებ, ისინი კი ინდივიდუალურ მრიცხველს დამიდგამენ. სულო ცოდვილო, ეჭვი მაქვს, ასეთი სულგრძელობა "თბილისი წყალიდან" მათივე ინტერესებით აიხსნება. საქმე ისაა, რომ წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში აბონენტმა ინდივიდუალური მრიცხველი უნდა დაიდგას, რასაც კომპანია თავად უზრუნველყოფს. ეს კი ნიშ-

ნავს, რომ მოქალაქეს იმაზე მეტის გადახდა მოუწევს, რასაც დღეს იხდის ერთ სულ მოსახლეზე ფიქსირებული გადასახადის სახით. გადახდის ეს ფორმა კომპანიისთვის, რასაკვირველია, მომგებიანია, რადგან იმ მიზეზით, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში წლის გადაკეტვა ტექნიკურად ვერ ხერხდება, თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გადასხადს, როგორც წესი, არ იხდის. ელექტროენერჯისა თუ ბუნებრივი აირის მომწოდებელ მონოპოლიურ კომპანიებს კი გადასახადების ამოღების პრობლემა არ უდგათ. შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება მათთვის მომგებიანი არ არის, პირიქით, ორივე მხრიდან დეტალურად განერილი უფლება-მოვალეობის შემთხვევაში აუცილებლად გამოჩნდება ყველა ის ხარვეზი, რაზედაც ამ დარგის სპეციალისტები უკვე კარგა ხანია, ლაპარაკობენ. სამწუხაროდ, მათი ხმა ვერც კერძო კომპანიებამდე და ვერც სახელმწიფო სტრუქტურებამდე ვერ აღწევს.

რა საჭიროა კანონი, თუ ის არ სრულდება? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, სამაგიეროდ ხელში მიჭირავს საქართველოს ენერჯტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილება, რომელსაც ბოლოში დართული აქვს წერილობითი ხელშეკრულების შაბლონი. ამისდა მიუხედავად, ჯერ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როცა ეს ხელშეკრულება რიცაოში მოხინაღრესა (ფიზიკურ პირსა) და "თელასს" შორის გაფორმებულიყო. პასუხი ყოველთვის ერთი და იგივეა: "ამ

ეტაპზე ჩვენს მომხმარებლებთან ინდივიდუალური (წერილობითი) ხელშეკრულების გაფორმების პროცესი არ დაწყებულა". რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, ამგვარ პასუხს ზურგს უმაგრებს სემეკის 2001 წლის დადგენილება N 10, რომლის თანახმადაც მოქალაქეებს ამგვარი პასუხით ისტუმრებენ უკან: "თელასს", როგორც ხელშეკრულების მხარეს, წარმოეშვა ელექტროენერჯის მინოდების ვალდებულება და თქვენთვის მოწოდებული ელექტროენერჯის საფასურის მოთხოვნის უფლება. ამდენად, დამატებითი წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა არსებული ვითარებიდან გამომდინარე ვერ ხრხდება".

ვინც ამ წერილს წაიკითხავს და აბონენტი 007-ში საკუთარ თავს ამოიცნობს, მათ გასაგონად ვიტყვი: გადმოატრიალეთ "თელასის" კვითარი, რომელიც რეგულარულად გზვდებათ კარში გაჩრილი და კარგად დააკვირდით. იქ მითითებულია სემეკთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის კოორდინატები. ახლა ნუ ჩავუღრმავდებით დეტალებს და ნუ დავიწუნუნებთ, რომ ომბუდსმენის წარმომადგენელი თბილისშიც და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც უნდა იჯდეს, რადგან ქუთაისამდე ხმის მიწვდენა ყველას არ შეუძლია. ისე კი, უპირანი იქნებოდა, საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი დამოუკიდებლად არსებობდეს და სემეკს არ იყოს შეკედლებული, მაგრამ ამ ეტაპზე იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს. მე, მაგალითად, ომბუდსმენს საჩივრით მივმართე და თქვენც იგივეს

გირჩევთ. ახლა ჯერი ამ უკანასკნელზეა: მას შეუძლია "თელასი" აბონენტთან ხელშეკრულების გაფორმების დააჯაროს და შექმნას პრეცედენტი, რომ საზოგადოებრივი დამცველი მოქალაქეებზე ზრუნავს. "ყაზტრანსგაზთბილისსა" და სატელეფონო კომპანიებთან დაკავშირებით კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა, რაზედაც შემდეგ წერილში გავამახვილებთ ყურადღებას.

როგორც ხედავთ, გზას, რომელსაც აბონენტი 007 დაადგა, ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს, ასე რომ, ჯემს ბონდზე გადაღებული ფილმების კვალდაკვალ მთლად 22 თუ არა, რამდენიმე წერილის დაწერა მაინც მოგიწევს, საკრალოდ იგივე სათაურით. რაც შეეხება ქვესათაურს - "სიყვარულით რუსეთიდან" ("From Russia with Love"), რომელიც ბონდიანას რიგით მეორე ფილმის სახელწოდებაა, შემდეგს მოგახსენებთ: "თელასი" რომ წამდვილად რუსული კომპანიაა, ეს ვიცით. ისიც ვიცით, რომ ჭორებს არ უნდა ავყვეთ და არ დავიჯეროთ, თითქოს "ყაზტრანსგაზთბილისი", "გაერთიანებული ტელეკომი" და "თბილისის წყალიც" ასევე რუსული კომპანიებია. აბა, რა გითხრათ, მაგრამ ამ კომპანიების ქმედებებში აშკარად რუსული ხელწერა იკითხება, რადგან ცივილიზებულ ქვეყნებში (რუსეთი კი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება), კარგა ხანია, ურთიერთობას კერძო კომპანიებსა და მოქალაქეებს შორის სწორედ ხელშეკრულება არეგულირებს. რუსეთიდან კი სწორედ ასეთ "სიყვარულს" ველოთ.



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ღია დიპლომატიის ასოციაცია OPEN DIPLOMACY ASSOCIATION

### ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო,**  
საქართველოში დღეისათვის შექმნილი უმძიმესი ვითარება პირადად თქვენგან დროულ და შესაბამის რეაგირებას მოითხოვს.

მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ თავიდან აგვაცილოთ საზოგადოების გახლეჩა და დაპირისპირება, ის საშიში მოვლენები, რომელთა ტენდენციებსაც უკვე ვხედავთ.

მხოლოდ თქვენს კეთილგონივრულ გადაწყვეტილებასა და დამოკიდებულებას არსებული მწვავე ვითარების განმუხტვა. ჩვენი ქვეყანა, მისი პოლიტიკური სისტემა და მოქალაქეები საზოგადოება საჭიროებს სასწრაფო ცვლილებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი სოლიდარობით, ერთსულოვნებით, სამშობლოს სიყვარულით.

გვეჯერა, რომ საზოგადოების ვნებათაღელვას დააცხრობს არსებული ვითარების სწორი შეფასება და თქვენს მიერ საჯაროდ გაცხადებული დედაქალაქსა და რეგიონებში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანის კონკრეტული გეგმა.

საქართველოში მშვიდობისა და ურთიერთგაგების დამყარების წინაპირობა იქნება პირადად თქვენს მიერ გადადგმული არაორდინარული ნაბიჯები კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებისათვის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვისა და ხელისუფლების დემოკრატიული გადაანაწილების მიზნით.

იმედი გვაქვს - თქვენ შეძლებთ დაარწმუნოთ საქართველოს პარლამენტი, რომ აუცილებელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის განახლება და ისეთი საარჩევნო

კანონმდებლობის შექმნა, რომელსაც სათანადო ნდობით მოეკიდება ქართული საზოგადოებრიობა.

მიმდინარე პროცესების დემოკრატიულობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის სურვილის ნათელი დადასტურება იქნება მშვიდობიან დემონსტრანტებზე განხორციელებული თავდასხმების ფაქტების გამოძიება და მოძალადეთა დასჯა.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ კვლავ არჩევანის წინაშე ხართ, საქართველოს არჩევანი კი მხოლოდ სოლიდარობა და ურთიერთგაგება შეიძლება იყოს.

ვიართ არა დაპირისპირების, არამედ სოლიდარობის გზით!

ღია დიპლომატიის ასოციაცია  
საზოგადოებრივი სოლიდარობის დარბაზი

საქართველო, თბილისი 0175 კოსტავას ქ.77, VI კორპუსი,  
VIII სართული ტელ. 36-45-14, 874-40-56-77  
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia. Tel. [+995 32] 36 45 14, [+995 74] 40 56 77  
E-mail: geoandependip@yahoo.com

# ინჟინერ დიპლომატიის ოქროს ხანა - გონიერი ძალის პერიოდი

**“24 საათი” დაუკავშირდა რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩს, რომელიც ცოტა ხნის წინ გაკეთებული ხმაურიანი პოლიტიკური განცხადებების შემდეგ აქტიურ პოლიტიკაში არ ჩანს. ის ახლა რუსეთსა და დასავლეთში მოგზაურობს და “ფონდ 2020-ს” ქმნის. კონკრეტულად რა საქმიანობით დაკავდება, რა ფორმით ჩართვება ფონდი მიმდინარე პროცესებში, ამის შესახებ საუბრობს “ფონდ 2020-ის” ხელმძღვანელი, ეროსი კიწმარიშვილი.**

**- დღეს არ ჩანხართ აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში, რა არის ამის მიზეზი?**

- ამჟამად, ჩემი ფონდის საორგანიზაციო საკითხებით ვარ დაკავებული. ფონდის პრეზენტაცია ალბათ, ორიოდე კვირაში იქნება. ამავე პრეზენტაციაზე წარმოვადგენთ კონკრეტულ პროექტს საქართველოს ეროვნული განვითარების სტრატეგიის შესახებ. მეორე მიმართულება, რაზეც ფონდი მუშაობს, გახლავთ რუსულ-ქართული დიალოგის იდეა. მესამე მიმართულება იქნება მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარების ხელშეწყობა.

**- რატომ ჩათვალთ საჭიროდ სწორედ ახლა, ამ დაძაბულ ფონზე ფონდის ჩამოყალიბება?**

- ნამდვილად არ ვდგავარ განზე ამ პროცესებიდან. რასაც დღეს ვაკეთებ, ეს ძალზე მნიშვნელოვანია მომავლისთვის. როცა ეს დღელი ჩანს, საზოგადოებას ვილაშქვამ უნდა შესთავაზოს კონკრეტული პროექტები.

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგებთან დაკავშირებით უფრო დაძაბული ვიყავი, მაგრამ, ახლა აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო სექტორი და საზოგადოება კარგად არის ორგანიზებული და კარგი მესხივება აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომზადების დონით საზოგადოებამ პოლიტიკურ სპექტრს გაასწრო. საზოგადოების მზაობა რეფორმებისა და ცვლილებებისკენ უფრო მაღალია, ვიდრე პოლიტიკურ სექტორის შეთავაზება. თანდათან პოლიტიკურ სექტორში მოახერხებს შესაფერისი ხარისხით დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნები.

ხელისუფლება აკეთებს კონტექსტულ სრულად ამოვარდნილ მარტივ პიარსა და მავნებლობებს, რითიც ცდილობს შექმნას განცდა, რომ სიტუაცია დრამატულია. მიუხედავად ამისა, საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესი პოზიტიური პროცესია, ამაში არაფერია დრამატული. საზოგადოება ძალიან რაციონალურია, აღფრთოვანებული ვარ საზოგადოების ცვლილებებით. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ფორმით ვმონანილობ მოვლენებში, ვთვლი, რომ აქციის ორგანიზატორთა ლოზუნგების რეალზაცია სხვაგვარი ტაქტიკით უფრო იქნებოდა შესაძლებელი.

**- პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას გულისხმობთ?**

- პროცესი უპირობო მოთხოვნებისა და ულტიმატუმის რეჟიმში მიდის. ცხადია, ეს მოთხოვნა უნდა დარჩეს, რადგან მას ბევრი ადამიანი უჭერს მხარს. კარგი იქნება, ამავდროულად, ტაქტიკური თვალსაზრისით, პატარა-პატარა შედეგებიც იქნეს მიღებული. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა დიალოგზე, რაც არის მშვიდ ვითარებაში არგუმენტების გაცვლა-გამოცვლა, რაც ახლა ნაკლებ შესაძლებელია, არამედ, აქცენტი მოლაპარაკებებით გამოსავლის ძიებაზე უნდა გაკეთდეს.

**- დავუბრუნდეთ ფონდის თემას.**

- დიახ. ამ ფონდის შექმნა მსოფლიოში სწრაფად მიმდინარე ცვლილებებზე მიკარნახა. მსოფლიოში საერთაშორისო კონტექსტი კომპლექსურად იცვლება, რაც უდაოდ



ეკონომიკური კრიზისის დამსახურებაა. მსოფლიოში ჭარბი შესაძლებლობების დეფიციტმა კაცობრიობის ყველაზე უნარიანი იარაღი - გონიერება აამოქმედა. საერთაშორისო თანამეგობრობა არაკონფრონტაციული, თანამშრომლობასა და პრევენციულ აგებული მსოფლიო კონტექსტის შემუშავებას ცდილობს. ეს ინიციატივა მსოფლიოს ამ ეტაპზე ყველაზე პრაგმატულმა ძალამ, აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ შესთავაზა.

კრიზისების დარეგულირების ახალ ენერგეტიკას საფუძვლად უდევს ზეაქტიური დიპლომატია, რომელიც მოქნილობით, ლოგიკით და მოლაპარაკების ხელოვნებით კაცობრიობის უმწვევებს კრიზისებს უპირისპირდება. მსოფლიოში იწყება დიპლომატიის ოქროს ხანა - გონიერი ძალის პერიოდი.

ამ ურთულესი მომენტის მისაღწევად აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ წინა პლანზე ამერიკული დიპლომატიის საუკეთესო რესურსი წამოიწია და მსოფლიოს ყველაზე პრობლემატურ მიმართულებებზე სპეციალური წარმომადგენლები საგანგებო დავალებათა ფუნქციით მიაგლინა. ამ სტატუსით ოფიციალური ვაშინგტონი ესაუბრება თალიბანს, პესბოლას, სპარსეთს, კორეას. ახერხებს დაარწმუნოს ვენესუელის ლიდერი ჩავესი და ალადგინოს ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები, აწარმოოს ფილიპინური, კულისებში და დიპლომატიისა და სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესის ინიცირება დაიწყოს, რაც რეგიონში გეოპოლიტიკური ტექტონიკის აქტიურ ფაზაში მოყვანას შეუწყობს ხელს. რეალურად ისახება ყარაბახის კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივაც. სამხრეთ კავკასიის არტერიებისთვის ეს არის თრომბი, რომლის გავრთვას შემთხვევაში რეგიონში გეოსტრატეგიული პერსპექტივა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანად შეიცვლება.

**- რა როლი ეკისრება ამ პროცესებში ქართულ დიპლომატიას?**

- ქართულმა დიპლომატიამ ამ ახალ რეალიტებს რაც შეიძლება სწრაფად უნდა აუღოს ალღო, თუმცა ის შეცდომებს შეცდომებზე უშვებს. ასეთი უნარები დიპლომატიის წყალობით ჩვენ შესაძლოა აღმოვჩნდეთ კატასტროფული პერსპექტივის წინაშე, რეგიონში დასავლეთის მოკავშირე, ლიდერის სტატუსის მქონე

ქვეყნის სანაცვლოდ გაგხდეთ აუტსაიდერი ქვეყანა, რომელიც ამავე დროს რუსეთთან დაპირისპირებულ მდგომარეობაში ყოფნას განაგრძობს.

**- გულისხმობთ, აშშ-ს ადმინისტრაციის მცდელობას, ახალი ფორმატით დააღვას ურთიერთობები რუსეთთან?**

- საქმე ისაა, რომ რუსეთი არ არის ამერიკის საგარეო პოლიტიკის პირველი პრიორიტეტი - ის გაჭირვების ტალღეებზე, რადგან მთავარი კრიზისული კვანძების გადაწყვეტის აუცილებელი ან უაღრესად სასურველი მექანიზმია. ამერიკული დიპლომატია ცდილობს, რუსეთი მოკავშირედ აქციოს და სწორედ ამ მიზნით იწყებს რუსეთთან ურთიერთობას “გადატვირთვის რეჟიმში”. ამ თვალსაზრისით, რუსეთი ნამდვილად პრიორიტეტია ამერიკისთვის.

პრიორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ ახალ ადმინისტრაციაში სამუშაოდ მიიწვიეს რუსეთის მიმართულების საუკეთესო ამერიკელი ექსპერტები. ისინი კონსოლიდირებულ გუნდად იქცნენ - ვერშბოუ, ბერნსი, მაკფოლი, გეტემულერი, - ყოფილი ელჩები და მოსკოვში კარნეგის ცენტრის წამყვანი ექსპერტები. პარალელურად რუსეთის მიმართულებით მუშაობს რამდენიმე ანალიტიკური ცენტრი და ამერიკული დიპლომატიის საუკეთესო კადრები. იქმნება ე.წ. ინტელექტუალური უმრავლესობა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების განახლების ამოცანებს ემსახურება. გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ყოფილი ადმინისტრაციის შეცდომები. სხვადასხვა უწყებებში საკვანძო თანამდებობებზე თანამოაზრეები და რუსეთის საექსპერტო წრეების წარმომადგენლები მუშაობენ, რაც გენერალური ხაზის გატარების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია და კონსენსუსის საფუძველზე მოქმედების საშუალებას იძლევა.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ დიალოგის კომპლექსი არავის უნდა ჰქონდეს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს დიპლომატიური ძალისხმევა სრულად პარალიზებულია, ჩვენ ჩვენს პარტნიორებს და მეგობრებს საქმეს ვურთულებთ. მსოფლიო პროცესების განვითარების ტემპებს არამარტო კატასტროფული სისწრაფით ჩამოვრჩით, არამედ ძირითად მიმართულებას ვუპირისპირდებით და მალე სრულ იზოლაციაში აღმოვჩნდებით.

სულ ახლახანს გახლდით ვაშინგტონში, სადაც შეხვედრამ მქონდა წამყვან ექსპერტებთან, რომლებიც სხვადასხვა ცენტრებს წარმოადგენდნენ, კერძოდ The Eisenhower Institute, Russia and Eurasia Project at the World Security Institute, The Nixon Center, The Brookings Institution, Georgetown University, APCO Worldwide, The Center for International Security and Cooperation, the American Foreign Policy Council, Hudson Institute, The Heritage Foundation.

**- რა შეფასება მისცეს ამერიკელმა ექსპერტებმა საქართველოს საგარეო პოლიტიკას რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ?**

- შეხვედრის ძირითადი თემა ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივა იყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების შეფასებით ჩვენ პროცესში, როგორც დამოუკიდებელი და აქტიური მხარე, აღარ ვმონანილობთ. ჩვენ ვიქცევით რუსულ-ამერიკული დიალოგის პასიურ ნაწილად.

კონფრონტაციული, გამწვავების ინტენსივობა ორიენტირებული ქმედებით მსოფლიოში მხოლოდ ჩვენი საგარეო პოლიტიკა საუბრობს და ეს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

სწორედ ამის გამო, საქართველოს სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები აღარ არიან ოფიციალური ვაშინგტონის სასურველი სტუმრები, ხედვის ფუნდამენტური სხვაობა მათ შორის ურთიერთობებს განსაზღვრავს. ამით საქართველო ზარალდება. ამერიკიდან დაბრუნებული ქართველი ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს მართლაც ასეა - აშშ ცალსახად აფიქსირებს იმ ზღვარს, რომლის იქით რუსეთთან კომპრომისზე შეუძლებელია - ეს არის საერთაშორისო სამართალი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის დაუშვებლობა. მაგრამ, ჩვენი დიპლომატიის გააქტიურების გარეშე საერთაშორისო კონსენსუსით გამყარებული დამცავი ათვისის ნერტილიდან შემდგომი დინამიკა ვერ განხორციელდება. ასეთი პოზიცია კი, საქართველოს დეოკუპაციის ამოცანას ვერ პასუხობს, უფრო მეტიც, ჩვენი უფნარობა საერთაშორისო ძალისხმევას ამუხრუჭებს.

დიალოგის აღდგენა დიპლომატიის შესაძლებლობების აქტიურ გამოყენებას ნიშნავს. საუკეთესო მაგალითს ისევ ვაშინგტონი იძლევა, ის არ ჩქარობს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას სპარსეთთან, მაგრამ ის აქტიურ დიპლომატიურ სამუშაოს ეწევა და ამ მიმართულებით, ნიშნავს სპეციალურ წარმომადგენელს, რომელიც საგანგებო დავალებათა ელჩის სტატუსით საუბრობს თეირანთან. ის ხსნის ინტერესების სექციას, სადაც სპარსეთის მიმართულების საუკეთესო ამერიკელი დიპლომატები მუშაობენ. ეს არის ძალიან დიდი და კვალიფიციური გუნდი და არა სამკაციანი მისია, როგორც ჩვენს შემთხვევაში რუსეთში.

ჩემი “ფონდი 2020”-ის ექსპერტების კოლეგებთან ვაშინგტონში გამართული შეხვედრების ერთ-ერთი უმთავრესი თემა სწორედ ქართულ-რუსული ურთიერთობების ახალი დღის წესრიგის, ე.წ. საგზაო რუკის შექმნის პერსპექტივა გახლდათ. ტერიტორიული მთლიანობის ინტერესების უზრუნველყოფისა და ორმხრივი ურთიერთობების კომპლექსური გადატვირთვის მიზნით, განვიხილეთ საერთაშორისო საქეს-

პერტო საბჭოს შექმნის იდეა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა პოზიციებზე მდგომარეობა ყველა ექსპერტმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი საბჭოს შექმნის იდეას. მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ოფიციალურ დონეზე ურთიერთობების ნორმალიზების პროცესი გართულებდა, რაც განპირობებულია დაშვებული შეცდომების ტვირთის ზენოლითა და დაგროვილი კომპლექსების უარყოფითი ზემოქმედებით. საერთაშორისო საქესპერტო საბჭო კი ამერიკის, ევროკავშირის, რუსეთისა და, რა თქმა უნდა, საქართველოს ოფიციალური წრეების ერთგვარი პროტექტორატით შეძლებს, დისკუსიის სიმწვავე საკუთარ საზღვრებში მოაქციოს და განტვირთოს როგორც ქართულ-რუსული, ასევე პირველ რიგში, საერთაშორისო დღის წესრიგი. ეს პროექტი ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობების ახალი ფორმატის ინტერესებსაც პასუხობს და ამ თვალსაზრისით ის ქართულ-რუსული ურთიერთობების მნიშვნელოვან წინსვლას გაცხადებს მეტ შესაძლებლობებს შესძენს. ექსპერტებმა პროექტი მონანილობა აღგვითქვეს, ზოგიერთმა ინსტიტუტმა კი პროექტში “ფონდი 2020”-თან პარტნიორობის სურვილი გამოთქვეს, რაც შემდგომში მოლაპარაკებების საგანია.

ამის შემდგომ, მოლაპარაკებები საბჭოს იდეის ირგვლივ უკვე ევროპელ ექსპერტებთან გაიმართა. კერძოდ, ფონდი დაუკავშირდა წამყვან ექსპერტებს, რომლებიც სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ. კერძოდ, Friedrich Ebert Stiftung, The German Council on Foreign Relations, The German Institute for International and Security Affairs, King's College London - Russia and the former Soviet Union, University of Warsaw, CNRS/CERI, Paris.

კონსულტაციების პროცესში მე ამ მხრიდანაც სრული მხარდაჭერა მივიღე. არამარტო ექსპერტების მხრიდან გამოითქვა მონანილოგობის სურვილი, არამედ ზოგიერთი ცენტრი, მონანილოგობასაც კი მიიღებს პროექტის განხორციელებაში როგორც ჩვენი უშუალო პარტნიორი.

**- რა პერსპექტივები დასახეს ევროპელმა ექსპერტებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში?**

- ევროპელმა ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ოფიციალურ დონეზე რუსეთსა და საქართველოს შორის შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ამოცანა უაღრესად რთულია, მხარეებს ანეუ ურთიერთობა-ლულობის ტვირთი და გამოუმუშავდათ უშედეგო მრავალწლიანი მოლაპარაკებების პროცესის კომპლექსით ორმხრივი ურთიერთობების ახალი დღის წესრიგის შექმნა, პოზიტიური ქმედებების განხორციელების ნება ძალიან დაბალია. ეს ამოცანა მაღალკვალიფიცირებულმა, საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე ქართველი, რუსი, ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების გუნდმა უნდა იკისროს, რაც ოფიციალურ მოსკოვსა და თბილისს განახლებული საერთაშორისო კონტექსტის მოქმედების პროცესში თანდათან ჩართვას შეუწყობს ხელს.

ამ ეტაპზე აქტიურად ვანარმოებთ კონსულტაციებს რუს ექსპერტებთან და ანალიტიკოსებთან. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში მთავარი პარტნიორი უკვე განსაზღვრულია და ახლა ექსპერტების პერსონალური შემაგდნელობის საკითხები და სხვა დეტალები განიხილება. უახლოეს ხანებში გაირკვევა ექსპერტთა პირველი შეხვედრის ადგილი და ზუსტი თარიღი.

თავდასხმა ბერაიების ოჯახზე

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევეში სამი ნიღბიანი შეიარაღებული პირი თავს დაესხა ჯემალ ბერაიას ოჯახს. თავდასხმისას სახლში ჯემალ ბერაია და მისი მეუღლე ნანი ქარდავა იმყოფებოდნენ. ოჯახის უფროსმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შედეგადაც ის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს. თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

შეიარაღებულებს სამხედრო ფორმები ეცვათ. თავდასხმის ერთ-ერთ ვერსიად ყაჩაღობა სახელდება.

დაჭრილი ჯემალ ბერაია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ჯი-ეიჩ-ენი

ქიზარ ხალვაში სახელმწიფოსაგან 100 მილიონ დოლარს ითხოვს

ბიზნესმენი ქიზარ ხალვაში სახელმწიფოსაგან მიყენებული ზიანის სანაცვლოდ 100 მილიონ დოლარს ითხოვს. როგორც ქიზარ ხალვაშის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, ხალვაში უჩივის ყველა მოსამართლეს და სახელმწიფო მოხელეს, ვინც მისი მტკიცებით, უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა. ბიზნესმენი ქიზარ ხალვაშის ქონება ამ დრომდე დაყადაღებულია. მის მფლობელობაში მყოფი კომპანიის "არტი ჯგუფის" დიდი ნაწილი კი ხანძარს შეეწირა.

ქიზარ ხალვაშს, გერმანიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

პირველი

მრავალშვილიანი პირობით მსჯავრდებული დასაქმდა

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ძალისხმევით, ფოთში კიდევ ერთი პირობით მსჯავრდებული დავით ჩ. დასაქმდა. მის ოჯახს კი ახალი სამსახურის სახელით საჩუქარი გადაეცა.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე აყვანისას ცხრა შვილის მამა დავით ჩ-მ, რომელსაც პირობითი მსჯავრი 6 წლით ჰქონდა მისჯილი, განმარტა, რომ არსად მუშაობდა, არ გააჩნდა შემოსავლის წყარო და მრავალშვილიანი ოჯახის რჩენა უჭირდა.

ფოთის პრობაციის ოფიცერმა ლევან დარასელიამ პირობით მსჯავრდებულის დახმარების რეკომენდაციით მიმართა ფოთში მოქმედ სხვადასხვა კერძო კომპანიას. მის თხოვნას გამოეხმაურა შპს "ტოტალი"-ს ხელმძღვანელობა და დავით ჩ-ს დასაქმება მათ მიერ წარმოებულ სამშენებლო ობიექტზე შესთავაზა. დღიურ ანაზღაურებად კი 12 ლარი განუსაზღვრა. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელებმა ახალი თანამშრომლის მრავალშვილიან ოჯახს საჩუქრად ტელევიზორი გადასცეს.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონი, პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებს, პირობით მსჯავრდებულთა კონტროლთან ერთად, შესაძლებლადგვარად, მათი დახმარების მოვალეობასაც აკისრებს. პრობაციის სამსახური, აღნიშნული ამოცანების შესრულებას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს.

მედიანოუსი

ბანსასტელი დედა-შვილი სასამართლო დარბაზიდან ბათიავისუფლად

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, ქურდობის საქმეზე არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში ბრალდებული დედა-შვილის სანაი და გულარა მ.-ების ინტერესებს იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატი მურმან ნიკოლეიშვილი იცავდა.

კანონის თანახმად, სანაი და გულარა მ.-ებს სასჯელის სახით ჯარიმა ან ერთიდან სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ. იმის გამო, რომ განსასჯე-

ლები მთლიანად ცნობდნენ თავს დამნაშავედ, საზოგადოებრივად ადვოკატმა რუსთავის რაიონულ პროკურატურას შესთავაზა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რომელიც სანაი და გულარა მ.-ებისათვის პირობითი მსჯავრის და 2 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შეფარდებას გაითვალისწინებდა. თუმცა, ბრალდების მხარემ აღნიშნული წინადადება არ მიიღო.

ამის შემდეგ, საქმე განსახილველად გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლო კამათის დროს ბრალდების მხარემ განსასჯელთათვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. საზოგადოებრივად ადვო-

კატმა მურმან ნიკოლეიშვილმა კი სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და თავისი დაცვის ქვეშ მყოფთათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდება, ამ სასჯელის პირობითად ჩათვლა და როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთათვის, მოითხოვა დამატებითი სასჯელად ჯარიმა არ დანიშნულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საზოგადოებრივი ადვოკატის შუამდგომლობა მთლიანად დააკმაყოფილა. მისი დაცვის ქვეშ მყოფებს შეეფარდათ ერთი წლით თავისუფლების აღკვე-

თა, რაც ჩათვალათ პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით. საბოლოოდ სანაი და გულარა მ.-ები სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. სამსახურის 10 ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს.

საკუთარი ინფორმაცია

მკაცრი ბანაჩენი რუსი ემიგრანტის მკვლელობისთვის

კრიმინალური ტრიო - ასეთი სახელწოდება დაერქვა საქმეს, რომლის განხილვაც კალიფორნიის სასამართლოში კარგა ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელიც მკაცრი განაჩენით დასრულდა. მოსამართლე კერომ ბენსონის გადაწყვეტილებით, სამ მეგობარს ციხის კედლებში ყოფნა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოუწევთ.

საუბარია სამი მოზარდი გოგონას მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულზე - მკვლელობაზე, რომლის გამოძიებაც, თავის დროზე, სამართალდამცველებს საკმაოდ გაუჭირდათ.

მეგობარი გოგონები - კიმბერლი გუტიერეზი, ფელიცია მენარა და ჯული მაკილენი,

რუსი ემიგრანტის, 26 წლის ევენი გონერმანის მკვლელობისთვის გაასამართლეს. რუსი ემიგრანტი წლების განმავლობაში მსხვილ კომპანიებში მუშაობდა ინჟინრად. მისი ცხედარი სანსეტ-დისტრიკტის რაიონში, ძველი, გაუქმებული სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, მიუვალ ადგილას, შემთხვევით გამელელება აღმოაჩინეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვია ევენი გონერმანს თავში ჰქონდა მოხვედრილი. როგორც კარგა ხნის შემდეგ გაირკვა, მოზარდმა გოგონებმა მკვლელობა უცნობი მამაკაცის გაძარცვის მიზნით ჩაიდინეს. 20 დოლარი და ორი საკრედიტო ბარათი - ასეთი იყო ნაძარცვი.

კარგა ხნის განმავლობაში დაუდგენელი იყო როგორც მკვლე-

ლობის მოტივი, ასევე მკვლელის ვინაობა. ბოლოს კი მკვლელების კვალზე სამართალდამცველები გარდაცვლილის კუთვნილი საკრედიტო ბარათის საშუალებით გავიდნენ.

საქმე მაშინვე გაიხსნა, როგორც კი ერთ-ერთმა გოგონამ გარდაცვლილისთვის მოპარული საკრედიტო ბარათი გამოიყენა და მისი ანგარიშიდან ფული გამოიტანა. მკვლელობაში მონაწილე დანარჩენი ორი გოგონას კვალს გამოძიებამ მოგვიანებით მიაგნო.

გოგონები გამოტყდნენ, რომ რუსი ემიგრანტი სანაპიროზე სერიოზულსა და მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდნენ, ჰქონდა თუ არა მას ფული, გაძარცვის სცენარი მაინც შეიმუშავეს - გაიტყუეს და ცეცხლსასროლი

იარაღიდან გასროლით გასუწორდნენ, შემდეგ კი გაძარცვეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს გოგონებს შორის კიმბერლი გუტიერეზი აქტიურობდა, რომელიც მაშინ 16 წლის იყო. 21 წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთია მისთვის გამოტანილი განაჩენი.

სასამართლო შედარებით ლმობიერი აღმოჩნდა კიმბერლი გუტიერეზის თანამზრახველისა და მეგობრის ფელიცია მენარას მიმართ და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. რაც შეეხება დანაშაულში მონაწილე მესამე გოგონას, ჯული მაკილენს, მას 11 წელი მოუწევს საპატიმროში ყოფნა.

თავდასხმის შედეგად დაზარალებულების მდგომარეობა მძიმეა

გულიაშვილების ოჯახზე თავდასხმის შედეგად 32 წლის ორსული ელზა გულიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. მას და მის ქმარს გადაუდებელი სასწრაფო ოპე-

რაცია გუშინწინვე ჩაუტარდათ. ორივე ამ დრომდე საავადმყოფოში რჩება. ასევე კრიტიკულია ჩვილის მდგომარეობაც, რომელიც აპარატზეა მიერთებული. ჯერჯერობით უც-

ნობია, თუ რა ნივთები გულიაშვილების სახლიდან წაღებულნი.

გულიაშვილების ოჯახს გუშინწინ უცნობი პირები დაესხნენ თავს. მიმდინარეობს გამო-

ძიება. კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილას მოპოვებული ნივთმტკიცებულებები უკვე გამოძიებას გადასცეს.

ჯი-ეიჩ-ენი

24 აპრილი 2009

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ვადაგასული დოკუმენტებით სასამართლო განჩინება გამოიტანა**

აბონენტთა მომსახურებისათვის "ტელეკომის" სახაზო-საკაბელო წყვილებს იყენებდა. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2008 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა. განცხადებას თან ერთვის ასევე "კორპორაციის" წერილობითი მოთხოვნა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე 2009 წლის 31 დეკემბრამდე, რაზეც "გაერთიანებული ტელეკომის" თანხმობა არ არსებობს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ეკატერინე პართენიშვილის გადაწყვეტილების შედეგად "გაერთიანებულ ტელეკომს" აეკრძალა "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისთვის" სატელეფონო წყვილებით მომსახურების შეწყვეტა. საგულგნალოდ ითხოვს, რომ ამ შემთხვევაში **მოპასუხე მხარე უნდა იყოს "გაერთიანებული ტელეკომი" და არა "ქვემო ქართლის ფილიალი"**, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია სარჩელი, ვინაიდან კომპანიის ფილიალი ცალკე იურიდიულ სუბიექტს არ წარმოადგენს. შესაბამისად მოსარჩელე მხარეს განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა შეეტანა კომპანია "გაერთიანებული ტელეკომის" წინააღმდეგ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმომავალიც არ უნდა მიეღო "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" განცხადება.

მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილის არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ **მომსახურების აღდგენის უზრუნველყოფას ავალდებულებს იმ მხარეს, რომელთანაც "კორპორაციას" კონტრაქტი არ აქვს გაფორმებული**, ხოლო დადებულ ხელშეკრულებას ვადა გასული წლის დეკემბერში ამოიწურა. ასევე, კორპორაციის წერილზე **კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე "გაერთიანებული ტელეკომისგან" თანხმობა არ მიუღია**. არაკვალიფიციური დადგენილების გამოსატანად ეს ვადაგასული დოკუმენტები მიიჩნია მოსამართლე პართენიშვილმა არგუმენტირებულად.

**"გაერთიანებული ტელეკომი" თავის მხრივ, მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედების გამო იუსტიციის საბჭოში ჩივილს აპირებს.**

**ნოდარ ლაღარია**

2007 წლის 9 ნოემბერს ქალაქ ლონდონის ხუთ ყველაზე კრიმინოგენულ უბანში დადგეს ციხის საკნები... არა, თბილისში რომ დგას ისეთი კუსტარული არა — ნამდვილი ციხის საკნების ზუსტი ასლები, ყველა მოქმედი აქსესუარით. საკნები ღია იყო და ყველას შეეძლო შიგ შესვლა. აქციის აზრი იყო, ეწვევებინათ ახალგაზრდობისათვის, სად მოუწევდათ მათ ცხოვრება, თუ კანონის საწინააღმდეგო გზას აირჩევდნენ.

საკნები ლონდონში განათავსა ბრიტანულმა სარეკლამო სააგენტომ Miles Calcraft Briginshaw Duffy. ახლა სულაც არ ვამბობთ იმას, რომ საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, ახლაც იმდენად უნიჭო გამოდგა, რომ ეს იდეაც პლაგიატი. არა, ამ ამოცანას თავი მშვენივრად გაართვა ურნალისტმა ოლეგ პანფილოვმა თავის ინტერნეტგამოცემაში. ჩვენ საკითხის უფრო ღრმა დონეებზე უნდა ვიმოგზაუროთ.

რას გულისხმობდა ლონდონური აქცია? — ეს თვით გამოფენილ საკნებზე უნდა: “წარმოიდგინე, როგორ გაატარებ აქ წლებს”. ანუ, წინასწარ წარმოიდგინე, რომ გახსოვდეს და მერე აღარ მოგიწოდეს. საკანი და ციხე ბრიტანეთში საზოგადოდ და ამ კონკრეტული აქციის ფარგლებშიც მიღებულია და წარმოჩენილი როგორც გარდაუვალი სასაჯელი, რომლის გაუქმებას არავინ აპირებს.


აი, ჩვენი პრემიერ-მინისტრი კი...

თუმცა თავიდან დავიწყეთ. დიდი მარხვის დასრულების შემდეგ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პატიმრები მოინახულა. ხატები და საადვოტო საჩუქრები ამჯერად რუსთავის მეორე კოლონიაში დარიგდა. აქვე ეკლესიის საჭეთმკურთხეველი შეხვდა ქალთა კოლონიიდან არეულობის შემდეგ გადმოყვანილ პატიმრებს. სატელევიზიო საინფორმაციო სიუჟეტში ვიხილეთ პატიმარი ქალების გუნდი: ისინი დაჩოქილები გალობდნენ კათოლიკოსის წინაშე. ვილაც იფიქრებს, რომ შუა საუკუნეებში დაბრუნდა. სულაც არა: შუა საუკუნეებში კარგად იცოდნენ, რომ არა მარტო ადვოკატის ბრწყინვალე შვიდეულში, არამედ თვით ამაღლების დღესასწაულამდეც კი დაჩოქებას ლიტურგიკული კანონი კრძალავს. “ქრისტი აღდგა მკვდრეთით, სიკუდილისა სიკუდილითა დამთრგუნველი...” — ამ სიტყვების დაჩოქილი გალობა, საზოგადოდ, არა მხოლოდ საეკლესიო გემოვნების ნაკლებობა, არამედ ლიტურგიკული აბსურდია. ასე რომ მუხლმოყრილი პატიმარი ქალების გუნდი შუა საუკუნეებთან დაბრუნებას კი არა, ჩვენი სულიერი დონის თანამედროვე გადაგვარებას უფრო მოწონებს.

არავის უთქვამს ეს პატიმარი ქალებისათვის, არავის წამოუყენებია ისინი ფეხზე... ეს გარდამეტებული თაყვანისცემა მდუმარედ შეიფერეს. თუმცა არც ისე მდუმარედ, რადგან სიტყვებიც ითქვა.

აი, ზოგიერთი მათგანიც.

“საქართველოში ძალზე ბევრი პატიმარია”, — ცოტა არ იყოს, უცნაურია ერის საჯალალო მდგომარეობის ასეთი აღწერა. ჩვენი საერთო ჭირი შეიძლება მდგომარეობდეს არა პატიმართა, არამედ დამნაშავეთა დიდ რაოდენობაში. რაც შეეხება პატიმართა რიცხვს, აქ ჯანსაღი საზოგადოებისაგან მხოლოდ ერთი მოთხოვნა არის მისაღები, როგორც ზნეობრივად, ასევე იურიდიულად: პატიმართა რაოდენობა ზედმიწევნით ზუსტად უნ-



და თანხედობდეს დამნაშავეთა რაოდენობას. აბსოლუტურ სიმრავლეს მნიშვნელობა არა აქვს: მართალია, საქართველოში ტუხალთა რეალური რაოდენობა დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, მაგრამ მაშინაც კი, თუ 30.000 დამნაშავე იქნება ისეთი, რომელთა ბრალი სასამართლომ დაამტკიცა, მაშინ 30.000 პატიმარი უნდა იყოს. ამ ორი რიცხვის უკეთესი თანხედრობა სახელმწიფო მანქანის უკეთესი ფუნქციონირებისა და ქვეყნის მოსახლეობის მეტი უსაფრთხოების მოწოდება და მაჩვენებელია. იქნებ სწორედ ეს არის ნაგულისხმევი მოყვანილ სიტყვებში?

განვავრძობთ ციტირება: “ციხე გამოსასწორებელი ადგილი არ არის. არის ისეთი დანაშაულები, რომლისთვისაც ადამიანი ციხეში არ უნდა ჩასვას” — ამ ორი წინადადებიდან პირველს შეიძლება დავეთანხმეთ კიდევ: ციხე სასჯელის ადგილია და არა გამოსწორების. მაგრამ სასჯელის არის მის გარდაუვალობაშია — ეს მშვენივრად იცის ჯანსაღმა საზოგადოებამ და ბრიტანული სარეკლამო სააგენტოც სწორედ ამ არსებით იდეაზე დაყრდნობით გეგმავდა უკვე ნახსენებ აქციას ლონდონში. მეორე წინადადება კი მართლაც უცნაურია: მისი ყველაზე უფრო მარტივი საზრისი ის არის, რომ სისხლის სამართლის კოდექსი უსამართლოა. არა, თავისთავად წინადადება საყოველთაოდ ცნობილ და თითქმის ბანალურ აზრს გამოხატავს: მართლაც არსებობს დანაშაულები, რომლებისთვისაც ციხეში არ სვამენ. მაგალითად, ციხეში არ სვამენ მკრეხელობისათვის და ეს მართლაც ძალიან სწორია, რადგან, ერთი მხრივ, რელიგიური დანაშაულები საერთო სამართლის განსახილველი არ არის, მეორე მხრივ კი ეკლესიას არაფერი უნდა ესაქმებოდეს ინკვირინაციის უფლებასთან.

მაგრამ სად ითქვა წინადადება, რა სიტუაციურ და სიტყვიერ კონტექსტში? — მას შემდეგ, რაც აღიკვეთა არეულობა პენიტენციური დაწესებულებაში, პატიმრებს რელიგიური ავტორიტეტის სიმადლიდან ეუბნებიან, რომ ისინი, შესაძლოა, სულაც არ იხდიან სასჯელს დამსახურებულად. სხვა სიტყვებით, საპატიმროში მოწყობილ არეულობას ოურიდიული თუ არა, ზნეობრივი საფუძველი ეძლევა.

მაგრამ ყველაზე საინტერესოა მესამე ციტატა:

“ჩემი ცხოვრების უდიდესი სურვილია, საქართველოში ციხეები არ არსებობდეს”, — ეს რაღაც ნიშნავს? დამოკიდებულების ძირითადი წყარო აქვეა: გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგებზე სულ ახლახან გამოქმედი ნაციონალ-კომუნისტების მარგალიტი: “რა უნდა ქართველ ქალს ციხეში?! ჩვენ რომ მოვალთ, ყველა ქალს გავათავისუფლებთ”. მიტინგებს შორის პერიოდებშიც იგივე შინაარსისა იყო ჩვენი ოპოზიციური ქადაგება: აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო...

ამავე დროს, ციხეების მოსპობა კი არა, მათი გამარჯვლება და გუმჯობესება ნამდვილი საზრუნავი მათი, ვინც ნამდვილად ზრუნავს ადამიანის უფლებებზე და ეს ცნება ლიტონ სიტყვად არ მიაჩნია. ჯობია ყოველთვის იყოს საპატიმროში ცარიელი ადგილები, რომ არ იყოს საჭირო ლამის ყოველთვიური უაზრო და დაუსაბუთებელი ამინსტიციები.

ერთი სიტყვით, სწორედ ასეთ პირობებში მოაწერა ხელი ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა, ნიკა გილაურმა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმი ეკლესია-მონასტრებში მსჯავრდებულთა შრომას ითვალისწინებს. ამ შრომას საზოგადოებასათვის სასარგებლოდ მოიხსენიებენ ხოლმე. თავისთავად ცუდი არ იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს რუსული “ოსტროგის” ანუ სამონასტრო ციხის მოდელს არ მივიღებთ, სადაც ჩვენი ერთმორწმუნე მოყვასნი თავიანთ ქრისტესმეორე ძმებს ზამთრობით ყინვით, ზაფხულობით კი ნედლი ნაძვის ტოტების კვამლით აყენებდნენ გამოსწორების გზაზე. რას იზამ, ეკლესიურიობა არასოდეს ყოფილა გარანტია დამნაშავეობის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომაც წერდა ვასილი როზანოვი, რომ რუსი ყაჩაღი კაცს მოკლავს, ვკამს გაძარცვავს, მაგრამ მის ჯიბეში ნაპოვნ ძეხვს არ შეჭამს, თუ პარასკევია.

არა, თავისთავად, ამ მემორანდუმის ფაქტში, ცუდს ვერაფერს ვხედავ. ცუდი შინაარსში კი არა, თანმდევი პირობებშია. რა თქმა უნდა, მემორანდუმი მხოლოდ მემორანდუმი და მეტი არაფერია — ბოლოს და ბოლოს, განათლების სფეროშიც დაიღო ერთი ასეთი, მაგრამ არც რაიმე შესამჩნევი შედეგი გამოუღია და არც არაფერი გაუფუჭებია. დეტალები ალბათ

კონტრაქტში იქნება აღწერილი. ოღონდ ესაა, რომ, სანამ კონტრაქტი დაიდება, მანამდე ბევრ რამეზე უნდა ვიფიქროთ — განსაკუთრებით კი წინაპირობებზე.

პირველი ასეთი პირობაა გამჭვირვალეობის ნაკლებობა. ერთია, როცა ყოველწლიურად 25 მილიონ ლარს ურიცხვად საპატრიარქოს ბიუჯეტიდან სრულიად ბუნდოვანი ფორმულირებით: “შიდა საქართველისათვის”. მაგრამ სულ სხვაა, როცა კონკრეტული ადამიანების ბედ-იღბალს უდებხელობი. ამ შემთხვევაში კონტროლი უკვე ბევრად უფრო მკაცრი უნდა იყოს და ასეთ გარემოში მცხოვრებ პატიმარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარანტირებული კავშირი შესაბამის საერო ორგანოებთან, რათა დაიცვას საკუთარი უფლებები.

მეორე პირობა კი სხვახარია, იგი მთელ ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოს ეხება. სამართლის დაცვაში არსებობს ასპექტები, რომელთა კურირებაც ნამდვილად შეუძლიათ რელიგიურ ორგანიზაციებს. რატომ იღებენ ამაში მონაწილეობას მხოლოდ მართლმადიდებლები? განა ევანგელისტური მიმართულების ქრისტიანებს ან კათოლიკეებს არა აქვთ შესაბამისი კომპეტენცია ან რესურსი, რომ შესაძლებლობების მიხედვით მათაც მიიღონ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ნუთუ მათაც არ ეკუთვნით საქართველო, ან წვლილი არ მიუძღვით არა მარტო მის გარგნულ კულტურულ მრავალფეროვნებაში, არამედ მისი არსის ჩამოყალიბებაში? ან იქნებ მუსლიმანები უცხოინ არიან აჭარისათვის ან სხვა კუთხისათვის, სადაც კი წარმოდგენილი არიან საკმარისი მსჭიდროვით?

გასაგებია, რომ ვეროპა მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ ნაბიჯებს ჩავვითვლით დემოკრატიის ღირსეულ გამოვლინებად, რაც მისი რუსეთთან არდაპირისპირების შესწავლა რეალურად ვაზრდის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამართლიანობის გრძობა უნდა დავკარგოთ და მხოლოდ ტაქტიკურ ნაბიჯებზე ვიფიქროთ. დღეს სახელმწიფო არაბუნებრივ პირობებში ცხოვრობს. ეს არაბუნებრიობა კი იმაში გამოიხატება, რომ თვით დემოკრატიის აღიარებული მეტრები (მინაურებიც და გარეულებიც) უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, როდის და რა ხარადად განიშნდება ქალაქის ქუჩები საკუთარი თავის პაროდიად ქცეული პროტესტისაგან, ვიდრე იმას, რომ სახელმწიფო მხოლოდ ერთი კონკრეტული კონფესიის ხელშეწყობას აქცევს ყურადღებას.

მახინჯად ნანაცვლებული ორიენტაციები მართავს დღეს ჩვენს პოლიტიკურ შეგნებას და ერთი მხრივ, ზვიად ძიძიგური ამტკიცებს, რომ მარჯანიშვილის ქუჩაზე ასე საპატრიარქო მანქანა დაეტევა, მეორე მხრივ კი “ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მედიას”, მიუხედავად ამკარად მზარდი გალიზიანებისა, მაინც რცხვენია იმის თქმა, რომ რეგიონებიდან არავითარი საპროტესტო “ცუნამი” არ მოსულა და არც მოვა. ისევე გოგა ხანინდრავას უნდა უმადლოდეს მთავრობა: სანამ ცოცხალი და მკვდარი არ ამოუტრიალა, მანამდე არ მოიფიქრეს ურნალისტიკურ მარშალის პროსპექტის ზემოდან ჩვენება. მეორე მხრივ, პირველი არხის დირექტორის, ყუბანეიშვილის გადადგომას ითხოვენ და თვითონ გადიან სამეურვეო საბჭოდან, რომ ეს გადადგომა კანონის თანახმად ვერ განხორციელდეს.

ერთი სიტყვით, ამ ჩვეულ სბორიყვეში ვკოტრიალობთ, რეალურად საქორბოროტო საკითხები კი განზე ვვრჩებთ.

**დაპირების შეხსენება**

ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი წევრი დავით ზურაბიშვილი პრეზიდენტს საკუთარ დაპირებას ახსენებს.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან რამდენიმე დღეში განაცხადა, რომ 100 კაცსაც რომ მოეთხოვა მისი გადადგომა, ის იმ წუთშივე დატოვებდა თანამდებობას.

ზურაბიშვილის თქმით, არათუ ასე, არამედ ათასობით ადამიანი ითხოვს პრეზიდენტის გადადგომას, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი მათ აზრს არ ითვალისწინებს.

ზურაბიშვილი ასევე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, უცხოელი ელჩები ოპოზიციას დაუპირისპიროს და ამას ჭორების საშუალებით ცდილობს.

ჩვენ დავივლით ამდენი ძალმომრეობით და უსამართლობით. ეს არის ის სახადი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უნდა მოიხადოს და შემდგომში აღარ უნდა დაუშვავთ ხელისუფლების მსგავსი ქმედებები,” - აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

*ინტერპრესნიუსი*

**გასვლითი სხდომა გორში**

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითმა საპარლამენტო კომისიამ გორში გასვლითი სხდომა გამართა. სხდომაზე გადამწყდა, რომ ამიერიდან პარლამენტი უშუალოდ გუბერნიეტთან და გამგეობებთან იმუშავებს.

“პარლამენტს და სამინისტროებს შორის ურთიერთობა არსებობს, მაგრამ ამ რეგლში გუბერნატორებისა და გამგეობების აპარატი არ იყო ჩართული. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან პარლამენტი უშუალოდ გუბერნიეტსა და გამგეობებთან იმუშავებს,” - აცხადებს კომისიის თავმჯდომარე შოთა მაღალაშვილი. კომისიის წევრებმა გორში არსებული ვითარება განიხილეს და ავჯისტოს იმის შედეგად დაზარალებულთა პრობლემებზე იმსჯელეს.

დეპუტატები პირადად შეხვდნენ დევნილებს და იმ სოფლების გამგებლებს, სადაც დაზარალებულები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი. ისინი ასევე ესაუბრნენ საზღვრისპირა სოფლების მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს.

ცნობისათვის - გასულ კვირას აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომა თელავის რაიონში ჩატარდა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომა - ზუგდიდში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა - მარნეულში, რეგიონულ საკითხთა კომიტეტის სხდომა - სამტრედიამში, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა - ქუთაისში, ჯანდაცვის კომიტეტის სხდომა კი - ოზურგეთში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**ოპოზიცია პრეზიდენტს მიტინგზე უპასუხება**

ალიანსი საქართველოსთვის წევრი თინა ხიდაშელი მიხეილ სააკაშვილს მიტინგზე მისვლისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, თუ სააკაშვილი იმიტომ არ მიდის აქციაზე, რომ ოპოზიციასთან პრობლემა აქვს, ისინი ტრიბუნად გაველენ.

პრეზიდენტობიდან რამდენიმე დღეში სააკაშვილმა განაცხადა, რომ 100 ადამიანის შეკრების დროსაც კი დაელაპარაკებოდა და მივიდოდა ხალხთან. მოვიდეს, ხალხს დაელაპარაკოს. მან ზუსტად იცის, ხალხი რატომ დგას აქ და პასუხები არა აქვს, - აცხადებს ხიდაშელი. მისივე თქმით, ხელისუფლება ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ოპოზიციამ განხეთქილება და ამის მაგალითად რეგიონებიდან წამოსულ პირველ კოლონაში ალიანსის წარმომადგენლების არყოფნა დასახელდა.

ჩვენ ჩამოვიყვანეთ რეგიონებიდან ხალხი. იმდენ ადამიანს ჩამოვიყვანეთ, რამდენიც სააკაშვილის გადასაყენებლად იქნება საჭირო, - დასძენს რესპუბლიკელების ერთ-ერთი მიდერნი.

*ინტერპრესნიუსი*

**კონკურსი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად**

პრეზიდენტის ადმინისტრაცია პირველი არხის სამეურვეო საბჭოს ოთხი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსს 10 დღეში გამოაცხადებს.

კანონის თანახმად, კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის შემდეგ შეირჩევა 12 კანდიდატი პარლამენტში წარსადგენად, რომელთაგან პარლამენტი თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილ სამიდან ერთ კანდიდატს დაამტკიცებს.

სამეურვეო საბჭოში ოთხი ვაკანტური ადგილი მას შემდეგ ვაჩნდა, რაც წევრებმა - ირმა სოსხაძემ, მარინა ვეკუამ, გიორგი ანჩაბაძემ და მიხეილ ჭიაურელმა საბჭო დატოვეს, რის მიზეზად არხის მიერ ოპოზიციის საპროტესტო აქციების არასრულყოფილად გაშუქება დაასახელეს.

სტაბილურობისთვის...  
 სიმშვიდისთვის...  
 გარანტირებული  
 სარგებლისთვის...

მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც  
მსოფლიოში მილიონობით მენაბრე  
 ენდობა!



ბანკი რესპუბლიკა  
 BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიკაძე ჟანაჩილი

# "გამოტანარი" უნატანარი

## გახსნადი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ ღროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

(822) 92 55 55  
[www.republic.ge](http://www.republic.ge)

**კომენტარები მთავარზე**



# ბთხოვ, არ გადავტოვო!

ლამა ბუღაძე

ვფიქრობ, მივაგენი გამოსავალს.

რაკი რეალურ დიპლომატიკაში ჯიუტად არ მიდის არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია (პირველი ზოგადი ტელეგანცხადებებით შემოიფარგლება, ხოლო მეორე სააკაშვილის ნერვების ამლას ელოდება), ამიტომ დაძაბულობის განმუხტვის ერთადერთ გზად გამარჯვების და დათმობის ილუზიის შექმნა მესახება.

დაპირისპირებულმა მხარეებმა მათთვის მისაღებ მედია-რეალობებში უნდა მიაღწიონ მარცხსაც და გამარჯვებასაც.

ანუ:

პრეზიდენტი სააკაშვილი ტელეკომპანია "მავსტროს" მაცურებლისათვის უნდა გადადგეს.

"მავსტროს" ეთერშივე მოუხადოს ხალხს ბოდიში და თქვას: "მე გადავდექი, სახლში მივდივარ".

უცნობმაც, თუკი რეალურად არა, მედია-რეალობაში მაინც მიაღწიოს სრულ გამარჯვებას, - ხომ უნდა შეძლოს, ბოლო-ბოლო, ამ ადამიანმა სახლში წასვლა!

"აჰა, ხალხო, ტყუილად არ ვმჯდარვარ ჩემს ტელესაკანში, სააკაშვილი გადადგა!".

"მავსტროს" მაცურებლისთვისვე უნდა აირჩიონ ახალი პრეზიდენტიც და იმავე ეთერში დაინყოს სააკაშვილმაც თავისი ოპოზიციური მოძრაობა...

"რუსთავი 2"-ზე კი ისევე ატაროს მთავრობის სხდომები, "რუსთავი 2"-ისთვის ისევე პრეზიდენტად დარჩეს: ვეება, უსაზღვრო, ყოვლისმომცველი უფლებებით და დღეში ოც კაფეში წავიდეს თუ უნდა, ფეხებსაც ვერ მოჭამს ვერავინ - "მავსტროსზე" ხომ გამამდგარი იქნება და ვის გაახსენდება, კაციშვილი არ მიუვარდება ქამის დროს!

ამიერიდან, თუკი ტელეკომპანია "მავსტროსი" თხოვენ, თვითონ მოუწვევს, როგორც ოპოზიციონერს, "მავსტროს" მაცურებლისთვის არჩეული პრეზიდენტის რესტორან-რესტორან დევნა...

ცოტა დეპუტატ ცაგარეიშვილთან გვირთულდება საქმე... ამ მოჭოჭმანე პოლიტიკურ სუბიექტს აშკარად გაუჭირდება რომელიმე ერთი მედია-რეალობის არჩევა. თუმცა გამოსავალს აქაც გამოვნახავთ: "მავსტროსზე" ცარიელ საკანში მჯდომს ვიხილავთ, "რუსთავი 2"-ზე პარლამენტის დერეფნებში მოარულს.

საპატრიარქოს ტელევიზია კი ყველას შეგვაერთებს: ერთად მოალოცვინებს "მავსტროს" პრეზიდენტსაც და "რუსთავი 2"-ის სააკაშვილსაც.

ეჭვი მაქვს, "კავკასიაც" წამოაყენებს თავის საპრეზიდენტო კანდიდატურას და მის გულმხურვალე ლოცვასაც გვაჩვენებენ ოპერატორები.

მაგრამ ეს მხოლოდ საპატრიარქოს არხზე, სხვაგან არავითარ შემთხვევაში!

როგორც ჩანს, მართო ასე თუ შევძლებთ ბალანსის აღდგენას პოლიტიკურ ძალებს შორის...

ასე რომ, ყველაფერი დალაგებადია. მთავარია, არხიდან არხზე არ გადავართოთ და ერთ მედია-რეალობას ვუერთგულოთ. ყველა თავ-თავის ტელეკომპანიას უნდა ენდოს!

დამახსოვრეთ, სხვა არხზე გადართვა და დაეჭვება ერთი იქნება...

# კიდევ ერთხელ ობერჰაუზენში

ბალა ჩაქარიშვილი

ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების 55-ე საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც 30 აპრილს გაიხსნება, საკონკურსო პროგრამაში 2 ქართული ფილმი მონაწილეობს. სექციაში საერთაშორისო კონკურსი "ნაჩვენები იქნება კოკა რამიშვილის Tender Transitory Transport, ხოლო სექციაში ბავშვები და ახალგაზრდები" ნარმოდგენილია ნონა გიუნაშვილის მოკლე ფილმი "ფანჯარა", რომელიც მან ირანელი კინორეჟისორის აბას კიაროსტამის მასტერკლასის ფარგლებში გადაიღო ერევანში 2008 წელს.

ობერჰაუზენის ფესტივალს მიშა კობახიძის "ქორწილი" და გოდერძი ჩოხელის ფილმები ახსოვს, რომელთაც ფესტივალის გრან პრი დაიმსახურეს. ამიტომ, დეკემბრის მიწურულს, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორის ქრისტიან ბუნენერის თბილისში ჩამოსვლის მიზანს ობერჰაუზენში გამარჯვებული ფილმების რეტროსპექტივის გარდა საქართველოდან საინტერესო კინონამუშევრების წაღებაც შეადგენდა. ნონა გიუნაშვილმა ქალბატონ ბუნენერს ორი ფილმი გაატანა: 25 წუთიანი ჯართოსანი და წუთნახევრიანი ფანჯარა, რომელიც, როგორც ერევანის საერთაშორისო ფესტივალის ოქროს გარგრის კინოსკოლაში გადაღებული ფილმი, საქართველოს-სომხეთის კობროდუქციად ითვლება.

**ნონა გიუნაშვილი:** ჩემთვის ჯართოსანი უფრო სერიოზული ნამუშევარია და როდესაც ფანჯარა შეარჩიეს, დავფიქრდი, რა შეიძლებოდა მოსწონებოდათ მასში ევროპელებს. შევცადადი ფილმისთვის რამდენიმე კუთხით შემეხედა. ევროპული კინო უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ ყოველი წამი იყოს ემოციურად დატვირთული და იმპულსის მიმცემი მაცურებლისათვის და არაფერ შუაშია



კადრი ნონა გიუნაშვილის ფილმიდან "ფანჯარა"

თანამედროვე ქართული ფილმებისათვის დამახასიათებელი გაუთავებელი, გრძელი კადრები".

ოქროს გარგრის კინოსკოლაში გასულ წელს აბას კიაროსტამის მასტერკლასი ნონა გიუნაშვილთან ერთად გიგა ბაინდურაშვილმა და მარი გულბიანმა გაიარეს. ირანელმა რეჟისორმა სტუდენტებს ფილმების გადასაღებად სამი თემა მისცა: ქარი, კარი, და ფანჯარა. იმის გამო, რომ დრო ძალიან ცოტა იყო, როგორც ნონა გიუნაშვილი იხსენებს, გადაწყვიტა, ფილმი ერთი კადრით გადაეღო და აქცენტი იდეაზე გაეკეთებინა და არა მოქმედებაზე. გიგა ბაინდურაშვილმა გადაიღო ქარი, მარი გულბიანმა კარი. კიაროსტამმა ეს ფილმები ბოლო დღეს ნახა და ქართველი ახალგაზრდების ნამუშევრები ისე მოეწონა, ფეხზე წამოდგა და ტაშით დააჯილდოვა. კიაროსტამი ირანელობის მიუხედავად პირდაპირობით გამოირჩევა და მას შემდეგ, რაც სომხური ნამუშევრები ხმამაღლა დაიწუნა, ქართველი რეჟისორებისთვის ამგვარი შექება დიდად საგულსხმო იყო.

**ნონა გიუნაშვილი:** ძალიან გამიკვირდა, რომ კიაროსტამს ჩემი ნამუშევარი მოეწონა. სამწუხაროდ, ამგვარ დეტალებზე

აქცენტირებას სტუდენტებს ნაკლებად ასწავლიან, უფრო დრამატურგიაზე ხდება ყურადღების გამახვილება და კინოენა უკანა პლანზე გადადის. ჩვენთვის რომ ასე ესწავლებინათ 5 წლის მანძილზე, როგორც კიაროსტამი ლექციას ატარებდა, დარწმუნებული ვარ, დღეს საქართველოში ბევრი ცნობილი რეჟისორი გვეყოლებოდა ახალ თაობაში".

რაც შეეხება ფილმ ფანჯარას, მისი იდეა რეჟისორს ერევანის ქუჩაში გაუჩნდა, სადაც ფანჯარაში სომეხი ქალი ღვეზელებს ყიდდა. იქვე დაინახა აგურიც და გადაწყვიტა, ფილმი ამ დეტალებზე აეწყო: ქუჩაში, ფანჯრის წინ, გამვლელები ჩერდებიან, რაღაცას იღებენ და მიდიან, კადრში მხოლოდ მათი ფეხები ჩანს, პატარა ბიჭი ზევით იყურება და ვერაფერს ხედავს. მაგრამ მერე, საიდანაც მოიტანს აგურს, ზედ შედგება და ცნობისმოყვარეობაც უკმაყოფილება: თურმე, იქ, ლამის ოცნებად ქცეულ ადგილზე, ღვეზელები იყიდება.

როდესაც რეჟისორს ფესტივალზე გასაგზავნად ფილმის ანოტაცია უნდა დაენერა, მან თავისი იდეა ასე ჩამოაყალიბა: ბავშვი ყოველთვის გადალახავს წინააღმდეგობას, თუკი

უფროსები ამის საშუალებას მიეცემთ"...

როგორც ჩანს, გერმანელებს უყვართ დიდაქტიკა, და არანაკლებ უყვართ კინოფესტივალებიც. ობერჰაუზენში სხვადასხვა ქალაქებიდან ჩადიან კინოს მოყვარულები, მიჰყავთ ბავშვები და საავტორო ფილმებს აყურებიან, რასაც სამწუხაროდ, ქართველებზე ვერ ვიტყვი. ამის თქმის უფლებას წლებანდელი პრომოტუსი ფესტივალის თითქმის ცარიელი დარბაზი მაძლევს.

რამდენად მოეწონება ნონა გიუნაშვილის ფანჯარა გერმანელ მაცურებელს, ამას დაახლოებით ერთი კვირის მერე შევითვობთ, მანამდე კი შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ მისმა სადიპლომო ნამუშევარმა ვინ ბრძანდებით ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის პრიზი დაიმსახურა, ფილმი სიყვარული და კარტოფილი ბაქოს აუდიოვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმად დასახელდა, ხოლო მოსკოვის კინოფორუმზე იგი დახურვის პროგრამაშია აჩვენეს. ასე რომ, ახალგაზრდა რეჟისორის მესამე ნამუშევარსაც წარმატება ვუსურვოთ.

# ბანადგურებას გადაარჩენილი "ლაურას დედანი"

ნაბოკოვის დაუმთავრებელი რომანი ნოემბერში გამოვა



მოვა და 25 ფუნტი სტერლინგი (დაახლოებით, 40 დოლარი) ელირება.

ნაბოკოვი საქვეყნოდ აღიარებული ლოლიტას წყალობით გახდა. თავისდროზე, მას ამ რო-

მანის განადგურებაც უნდოდა, მაგრამ ცოლმა გადააფიქრებინა.

ლაურას დედანი მოგვითხრობს მთავარი გმირის ურთიერთობაზე საკუთარ ცოლთან, რომლის ქცევაც მას აიძულებს სიკვდილზე სულ უფრო ხშირად იფიქროს. რომანში შავი იუმორია ჩადებული. მისი სამუშაო სახელწოდება იყო: სიკვდილი მზიარულად.

მისი ხელნაწერის კითხვა წარმოუდგენლად საინტერესოა. და მიუხედავად იმისა, რომ მისი პროზა სრულყოფილებამდე მიყვანილი არ არის, ნანარმოების გენიალურობა თვალმისაცემია, - აღნიშნა სერიის - Penguin Classics რედაქტორმა ალექსის კირშაუმმა.

კირშაუმმა ასევე განაცხადა, რომ 2010 წელს გამომცემლობა ნაბოკოვის ლექსების კრებულს გამოაქვეყნებს. ისინი ინგლისურ ენაზე დღემდე არ გამოცემულა. ერთი წლის შემდეგ, ანუ 2011 წელს, გამომცემლობა ნაბოკოვის საკუთარ ცოლთან მიმონერის გამოცემასაც გეგმავს.

# ქართული თეატრი პირდაპირ სივრცეში

ჩვენი თეატრების ვებგვერდების შექმნის შესახებ

ნერილი I

## ლაგა ჩხარტიშვილი

თუ კი ქართული თეატრით დაინტერესებული უცხოელი, ემიგრაციაში მყოფი ქართველი ან საქართველოშივე მცხოვრები რიგითი მოქალაქე დაინტერესდა ქართული თეატრის თანამედროვეობით, ან მისი ისტორიით, შეეგუეთ იმ აზრს, რომ ინტერნეტ რესურსებით ბევრს ვერაფერს გაიგებენ (ოფიციალური ინფორმაციიდან დაწყებული ფორუმის დისკუსიებით დამთავრებული), ან თუ გაიგებენ, ჩათვალეთ, რომ, ხშირ მცდარ, ან გადასამოწმებელ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საქართველოში არსებული ყველა მუზეუმის შესახებ და იგნორირებულია თეატრები. საკუთარი გვერდები აქვს დამოუკიდებელი აქტორები მოქმედ სამივე თეატრს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე ([moecs.ge](http://moecs.ge)). სამსახურად, დღემდე არ შექმნილა ვებგვერდი, სადაც გაერთიანებული იქნებოდა ყველა ინფორმაცია ქართულ თეატრზე, მის წარსულსა და თანამედროვეობაზე. საიტი, სადაც განთავსებული იქნებოდა ქართული და უცხოელი კრიტიკოსთა წერილები ქართულ თეატრში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე. ასეთი ორენოვანი საიტის შექმნა სურს საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელს, რომელიც აპირებს ყველა მოქმედი ქართული თეატრის პასპორტიზაციას.

სამაგიეროდ, დღეისათვის ქართული თეატრების უმრავლესობას საკუთარი ვებგვერდი გააჩნია, ამათგან, ზოგიერთს დახვეწილი დიზაინითა და სრულყოფილი, ამომწურავი ინფორმაციით; ზოგიერთს დაუსრულებელი, მშრალი და არასაკმარისი ინფორმაციით, ზოგიერთი თეატრის საიტს კი მხოლოდ დომენური სახელი აქვს მინიჭებული და ასეთებს არავითარი ფუნქცია არ აქვს.

არსებობს თეატრები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ საკუთარი ვებგვერდები. ასეთი თეატრების რიგშია ახმეტელის თეატრი, თბილისის თეატრებისა და ახალგაზრდული თეატრები, თეატრი ათონელზე. რეგიონის თეატრებიდან კი, ჯერჯერობით მხოლოდ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელობამ მოახერხა საკუთარი ქართულენოვანი საიტის შექმნა ([batumitheatre.ge](http://batumitheatre.ge), ავტორი კახა კეჭერაძე), რომელიც ექსპლუატაციაში 2008 წელს შევიდა. მართალია, ბათუმის თეატრის ვებგვერდზე ტექსტურული ინფორმაცია ამომწურავია, ხშირ შემთხვევაში ზედმეტიც, მაგრამ საიტის დიზაინია პრიმიტიული, იმდენად რომ [batumitheatre.ge](http://batumitheatre.ge) -ს დათვალისთვის საუკეთესო გიგანტია, ფოტოგალერეა არასრულყოფილია და ზოგიერთ მსახიობთა ფოტოებიც ნაკლებად ეფექტუ-



რი. ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე საიტს არ აქვს მომსახურების არც ერთი ფორმა. ვიმედოვნებთ, რომ [batumitheatre.ge](http://batumitheatre.ge) მომავალში დაიხვეწება და ერთ-ერთ საინტერესო სათეატრო საიტად იქცევა.

ერთის მხრივ, მეტად პროგრესული მოვლენაა და სასიხარულოა, როცა ქართული თეატრების უმრავლესობას საკუთარი ვებგვერდები გააჩნიათ, მაგრამ მეორეს მხრივ, მათი ვარკვეული სქემები დახვეწასთან ერთად, სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს, როგორც ტექსტები, რომლებიც ამ საიტებზეა განთავსებული, ისე მათი დიზაინი. ასეთი ნაკლოვანებების ფონზე, რაღა უნდა მოვთხოვოთ გასართობ, არასახელოვებო, ტურისტული, თუ სახელმწიფო აპარატების (სახელმწიფო კანცელარია, თბილისის მერია, კულტურის სამინისტრო, ტურიზმის დეპარტამენტი და ა. შ.), როცა თავად თეატრების საიტებზე ნაანწყებები ფაქტობრივ შეცდომებს. ფაქტია, რომ სხვადასხვა შინაარსის ტექსტუალური ინფორმაცია მომზადებულია იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც საფუძვლიანად ვერ ერკვევიან იმ თეატრის ისტორიასა და სფეროში. როგორც ნესი, ტექსტები საიტებისთვის მზადდება თეატრების საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგული სამსახურების მიერ, რომლებსაც, როგორც ჩანს, ეთაქვებათ ინფორმაციის დაზუსტება თავისივე თეატრის ამ საკითხში უფრო კომპეტენტურ სამსახურებთან, მაგალითად თეატრების მუზეუმებთან.

რუსთაველის თეატრის საიტზე ისტორია დაშლილია თითოეული წლის მიხედვით. როცა ლინკზე 1879" შედიხარ, დასანყისში ვკითხულობთ შემდეგი შინაარსის ტექსტს: 1921 წლის 25 ნოემბერს ქართული დრამის თეატრს" მიენიჭა რუსთაველის სახელი." თუკი დაინტერესდებით დაწვრილებით, მხოლოდ ამის შემდეგ გაიგებთ, რომ რუსთაველის თეატრის ისტორია იწყება 1879 წლიდან, როცა დრამატული საზოგადოების" თაოსნობით შეიქმნა "მუდმივი სცენა" და 5 სექტემბერს დაიდგა პირველი სპექტაკლი ბარბარე ჯორჯაძის

რას ვეძებდი და რა ვპოვე". ქართული თეატრების უმრავლესობას უკვე წლებია, რაც საკუთარი საიტები აქვთ. ეს მისასალმებელია და მეტად პროგრესული მოვლენაა, თუმცა ზოგიერთი საიტის არსებობას იმ ფორმით, რომლითაც დღევანდელი მდგომარეობით არსებობს, არავითარი აზრი არ აქვს, რადგან ფუნქცია დაკარგული აქვს. ასეთი ვებგვერდი აქვს მიხელო თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა ([tumanishvili.ge](http://tumanishvili.ge)) და ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის ([misictheatre.ge](http://misictheatre.ge)) თეატრებს.

თუმანიშვილის თეატრისგან განსხვავებით, მუსკომედიის თეატრის საიტზე აფიშა მართალია არის, მაგრამ 16 აპრილს, საიტზე კვლავ მარტის თვის აფიშა იყო განთავსებული. ქართული თეატრების ვებგვერდების თვალთვლებისას ყველაზე სრულყოფილი, ამომწურავი ინფორმაციის ოთხ საიტზე მიიღებთ. ესენია: თბილისის ოპერისა და ბალეტის ([opera.ge](http://opera.ge)), გრიბოედოვის სახელობის რუსული ([griboedovi.ge](http://griboedovi.ge)), რუსთაველის ([rustavelitheatre.ge](http://rustavelitheatre.ge)) და მარჯანიშვილის ([marjanishvili.ge](http://marjanishvili.ge)) თეატრები, თუმცა, მათ შორის, ლიდერის პოზიცია უდავოდ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის საიტს უჭირავს (ავტორი ბესიკ ყურაშვილი). [opera.ge](http://opera.ge)-ს დიზაინი სადაა და დახვეწილი, აქვს დასრულებული ინგლისურენოვანი ვერსია, ამ საიტზე დევს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გამოსაყენებელი იქნება არა მხოლოდ რიგითი მაყურებლისთვის, არამედ ამ თეატრის ისტორიით დაინტერესებული სპეციალისტებისთვისაც. ამ საიტით დაინტერესებული მნახველი მიიღებს ინფორმაციას თეატრის ისტორიის, სიახლეების, დასის და სხვა შემოქმედებითი პერსონალის შესახებ, ჟურნალისტებისთვის დევს პრესრელიზები.

ოპერის თეატრის საიტს სხვა ქართული სათეატრო საიტებისგან განსხვავებით აქვს ვირტუალური დარბაზი და საიტის თითოეული გვერდი იხსნება პოპულარული საოპერო მუსიკის თანხლებით. აქვე შეგიძლიათ ნახოთ ჟურნალ არა ბეს-

კის" ყველა ნომერი.

და რაც ყველაზე მთავარია საიტს გააჩნია მომსახურების ორი თანამედროვე ფორმა: სიახლეების გამოწერა, ბილეთის დაჯავშნა და ბილეთის ონლაინ რეჟიმში ყიდვა. მომსახურების ასეთი სრული პაკეტი ჯერჯერობით არც ერთ ქართულ თეატრს არ გააჩნია.

მართალია, მომსახურების ზემოაღნიშნული სერვისის სახეობები არ აქვს გრიბოედოვის თეატრის ვებგვერდს, მაგრამ ამ საიტზე შეგიძლიათ ნახოთ ყველა ინფორმაცია, რომელიც ამ თეატრის წარსულთან და თანამედროვეობასთან არის დაკავშირებული. რაც მთავარია, ამომწურავად. უეჭველია, რომ ტექსტი პროფესიონალის მიერ არის დაწერილი. აქვეა სრული ფოტოგალერეა, როგორც მიმდინარე რეპერტუარის, ისე ისტორიული სპექტაკლების.

რა ინფორმაცია შეიძლება ნახოთ ქართული თეატრების საიტებზე, მოდით ერთად გადავავლოთ თვალი მათ მენიუებს. თეატრების ვებგვერდების მენიუ თითქმის ერთნაირი, სტანდარტული სქემით არის დამზადებული, თუმცა არსებობს თეატრები, რომელთა ვებგვერდები მცირედით განსხვავდება ტიპური სათეატრო ვებგვერდებისგან.

[tumanishvili.ge](http://tumanishvili.ge)-ზე (შექმნილია [pesigner.ge](http://pesigner.ge)-ს მიერ), რომელსაც მხოლოდ ერთენოვანი მენიუ აქვს, არ არის განთავსებული აფიშა. ვებგვერდის ავტორი ტყუის, როცა ისტორიის ლინკზე ფაქტობრივად თეატრის სპექტაკლოგრაფიას ანთავსებს (ანუ რეპერტუარს). იმ სპექტაკლების სიას, რომელიც თეატრის შექმნის დღიდან დღემდე დადგმულა ამ თეატრის სცენაზე), რომელიც მართალია, ისტორიის ნაწილია, მაგრამ ლინკი ისტორია" გულისხმობს წერილს ამ თეატრის ისტორიის შესახებ, რომელშიც მოთხრობილია ქრონოლოგიურად ამა თუ იმ თეატრის შექმნის ისტორია, განვითარების ეტაპები და განსაზღვრულია მისი ადგილი ქართულ სათეატრო სივრცეში. გულდასაწყვეტია, რომ თუმანიშვილის თეატრის შექმნის საკმაოდ საინტერესო ისტორიაზე ინფორმაციას ამ თეატრის გულშემმატიკერები ინტერნეტით ვერ მიიღებენ. ცარიელია არქივის" ლინკი, რომელსაც მენიუში ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც დასს", ისტორიას", ხალხს". მართალია თუმანიშვილის თეატრის ვებგვერდის მენიუში შეხვდებით პრესას" და გასტროლებს", მაგრამ ვერაფერს შეიტყობთ მათ შესახებ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ინფორმაცია საიტზე არ დევს. სამაგიეროდ, განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია კონტაქტის, პარტნიორების, თეატრის რესურსების (ფოიე, საგრიმირიოები, დარბაზი-მხოლოდ ფოტოები და არა ტექსტუალური მონაცემები) და სპექტაკლების შესახებ, რომელიც ლოგიკურად მიმდინარე რეპერტუარს გულისხმობს შინაარსობრივად.

ბაზარძილაბა A12 ბაჰარდოვა



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგინებთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



## ცხენის აღკაზმულობა ლაგამი და საყბური

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა-ბოროლის შექმნა, უკვე რამოდენიმე საუკუნეა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებას განსაზღვრავს. ოთხთავა ეტლმა გადაატრიალება მოახდინა მოძრაობის საშუალებები და დიდი წვლილი შეიტანა ქალაქური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.

ძვ.წ. II ათასწლეული მდელგარე პერიოდი ძველი მსოფლიოს ისტორიაში. ეგვიპტეში ეს არის აზიური ტომების, ჰიქსოსების შეჭრა (ძვ.წ.1700), რომლებმაც იქ ცხენი შეიყვანეს; წინა აზიაში ეს არის ინდო-ირანული ეთნოგენის ეპოქა, როდესაც მითანის სახელმწიფოში ცხენი და საბრძოლო ეტლები ჩნდება; მცირე აზიაში ხეთების სამეფოს აღმავლობა ბრწყინვალე თავისებურ კულტურას უკავშირდება, რომლის დროსაც ძველ აღმოსავლეთში პირველად ცხენის კულტი დამკვიდრდა. ცხენის დომესტიკაცია განსაკუთრებით მაღალ დონეს ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში აღწევს, როცა ცენტრალურ ამიერკავკასიაში არქეოლოგიური კულტურა ყალიბდება, რომლის მატარებელი საზოგადოება სოციალური თვალსაზრისით საგრძობლად მაღლა დგას კავკასიის სინქრონულ მოსახლეობაზე.

ლაგამი ცხენის აღკაზმულობის ძირითადი ნაწილია, რომელიც დასამორჩილებლად პირში ამოვადებოდა ცხენს. უძველეს ხანაში ამ მიზნით ტყავის თასმა ან თოკი იხმარებოდა. ბრინჯაოს ლაგამი ძვ.წ. II ათასწლეულში ვრცელდება. ეს იყო ჯერ მთლიანი, შემდეგ კი ორნაწილი ღერო, რომელსაც ბოლოებზე სხვადასხვა ფორმის საყბურები ჰქონდა ნამოცმული. ლაგამის გამოყენებით განსხვავებული ძალით ხდება ცხენზე ზემოქმედება. საყბურები ფორმის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმია საყბურის ტანი და განიხილება როგორც ცხენის სხეულის, რომელიც ვერტიკალურად არის განლაგებული. უძველესი ტიპის ბრინჯაოს ლაგამები წინა აზიის ტერიტორიიდან მომდინარეობს და ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება (პალესტინა, სირია, ეგვიპტე, ანატოლია).

სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ლაგამი ძვ.წ. XIV ს-დან ჩნდება. თავდაპირველად იგი ბრინჯაოსაგან მზადდებოდა. ძვ.წ. I ათასწლეულში კი რკინის ლაგამი შემოდის ხმარებაში. ამ დროიდან ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლომდე ისინი თანაარსებობენ.

1970წ, თბილისში, დიღმის მასივში, თრელის სამაროვანზე გაითხარა ყორღანი (N16) რომელიც ძვ.წ. VIII ს. მიწურულია და VIII ს. I ნახევრით თარიღდება და რომლის ფართობიც 70კმ.მ-ს აღწევდა. ყორღანი თანადროულ ძეგლებს შორის ინვენტარის მრავალრიცხოვნობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ დადასტურებული სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა 15 ცალი ლაგამი და მათთან დაკავშირებული საყბურები. ათი ლაგამი ხუთ ჯგუფად წყვილ-წყვილად იყო, რაც გვევარაუდებინებს, რომ დაკრძალვის ეს რიტუალი ეტლში მუშაობის ცხენის იმიტაციას წარმოადგენდა. სრულიად უნიკალურია აქ დადასტურებული ცხენის თავის სტრუქტურული გამოსახულებით დაბოლოებული საყბურის მქონე ბრინჯაოს ორნაწილი ლაგამები. ამ ნივთის ანალოგები ჩვენთვის ცნობილი არ არის. ლაგამის თითოეული ნაწილი საყბურთან ერთად არის ჩამოსხმული და ერთმანეთთან ცხელი ჭედვითაა დაკავშირებული. ლაგამებთან ერთად ამ ყორღანში ცხენის აღკაზმულობის და ეტლთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა. ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხენის საკისრე რგოლი და მათთან დაკავშირებული ზარაკები, ცხენის საშუბლე, ეტლის მტანდარტები ცხენის თავის გამოსახულებით. ეს უკანასკნელი მსგავსებას წინა აზიაში აღმოჩენილ ზვიგის განძის მტანდარტებთან პოულობს.

თრელის სამაროვანზე გათხრილი N65 სამარხში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი ბრინჯაოს აბზინდის მიხედვით სავარაუდოა, რომ ცენტრალურ ამიერკავკასიაში მხედრობის უკვე ძვ.წ. XIII-დან ყურება საფუძველი.

ძველი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმ-საცავში.

ირინე სულთანშვილი საქართველოს ეროვნული მუზეუმი

# ქართული თეატრი პირველად სივრცეში

## ჩვენი თეატრების ვებგვერდების შექმნის პროექტი

### ნერილი I

ამთავრობა ვაჭრებიდან



თუმცა ამ გვერდის ბმულში შეხვედებით ისეთ სპექტაკლებს, რომლებიც რამდენიმე წელია არ უთამაშიათ კინომსახიობებს, მაგალითად, "ზაფხულის ღამის სიზმარი", "გირი", "დეჟავიუ", ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი, ჯულიეტა და რომეო, ტარტიუფი, ქიქა წყალი, ამფიტრიონი-38. ასეთი სპექტაკლებისთვის მენიუში არსებობს სპექტაკლების არქივი, რომელიც შეუვსებელია ტექსტით.

დაუსრულებელია და ხშირ შემთხვევაში ცარიელია თეატრის მსახიობების, რეჟისორების, ადმინისტრაციის წევრების სახელობითი ბმულები. (მაგალითად, რეჟისორების ქეთი დოლიძის, ნუგზარ ბაგრატიონის, გიორგი მარგველაშვილის ლინკი). რაც შეეხება მსახიობთა შესახებ ინფორმაციას: ვებგვერდზე დასის წევრთაგან მხოლოდ რამდენიმე მსახიობის ბმულშია ჩამოთვლილი ის როლები, რომელიც ამა თუ იმ მსახიობმა შეასრულა. ასეთი არასრული ინფორმაცია მხოლოდ 4-7 მსახიობის ბმულზეა განთავსებული. დანარჩენებზე ავტორი მხოლოდ მსახიობთა ვინაობის დასახელებით შემოიფარგლა. გამოდის, რომ თუ მსახიობის თეატრის მსახიობების ბიოგრაფიის შესახებ ამავე თეატრის ვებგვერდიდან ვერაფერს გაიგებთ დაინტერესებული პირი. ფაქტია, რომ კინომსახიობთა თეატრის ვებგვერდს მეურვე არ ჰყავს. საჯალალო მდგომარეობაშია ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თე-

ატრის ვებგვერდი (misc theatre.ge - შექმნილი webconsulting-group-ის მიერ. ქართულ და ინგლისურენოვანი მენიუთ). საიტის ამოქმედებისთანავე სულმოუთქმელად ველოდი ინფორმაციას ამ თეატრისა და მისი დასის შესახებ, თუმცა საიტზე მსგავსი ინფორმაცია დღემდე ვერ აღმოვაჩინე. საიტის დიზაინთან დაკავშირებით პროფესიული შენიშვნისგან თავს შევიკავებ, რადგან გემოვნების ამბავია, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ამ საიტის ასეთი ფორმითა და რეჟიმით არსებობას აზრი არ აქვს. აფიშის განთავსების ოპერატიულობაზე არ გავიჭორვებ. საკმაოდ მწირ მენიუზე შეეჩერდები მხოლოდ. ლინკზე ჩვენს შესახებ შეხვედებით არასრულ ინფორმაციას თეატრის ხელმძღვანელობის, დასის, შემოქმედებითი, ადმინისტრაციული და ტექნიკური ჯგუფების, სპონსორების შესახებ. იმედი ნუ

გავთ, რომ დასის წევრების ან სხვა სახელების შესახებ შეიტყობთ რაიმეს. თეატრში ჩაუხედავ ამ საიტის მომხმარებლებს ალბათ ჰგონიათ რომ მუსიკისა და დრამის თეატრის დასში მხოლოდ რამდენიმე მსახიობია. ვებგვერდის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულების მაგალითია ის, რომ დასის მენიუში მხოლოდ ექვსი მსახიობია ჩამოთვლილი. მათ შორის, აჩიკო სოლოლაშვილი, ეკა კახიანი, ბადრი ბეგალიშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინე ჯოხაძე, ნინო გომარტელი. თანაც ისე, რომ მათი სახელობითი ბმულები გააქტიურებული არ არის. მხოლოდ ფოტო და მათი ვინაობა დასახელებული ყოველგვარი ბიოგრაფიული ინფორმაციის გარეშე. ასეთივე პრინციპითაა შევსებული შემოქმედებითი, ადმინისტრაციული, ტექნიკური ჯგუფების ელექტრონული გვერდები. musictheatre.ge - ს ად-

მინისტრატორი გვეთამაშება, როცა მთავარ მენიუში არსებულ თეატრალური კლუბზე გამოვარდნილ ქვემენიუს ორ ლინკზე კლუბის შესახებ და მომსახურება კვლავ თეატრის უკვე ვადაგასული აფიშა დაგვხვდება. მუსიკისა და დრამის თეატრის ვებგვერდის საიტის მენიუში ფოტოგალერეა მხოლოდ ორ ფოტოს შეხვედებით, ოღონდ ნუ მთხოვთ იმ პირების ვინაობის დასახელებას, ვინც ამ ფოტოზე გამოსახული. სურათი იმდენად დაბალხარისხიანი და მცირე მოცულობისაა, რომ ექსპერტის გარდა მათ ვინაობას ვერავინ ამოიცნობს. მუსიკისა და დრამის თეატრის ვებგვერდი ერთადერთი საიტია ქართული თეატრების ვებგვერდებს შორის, რომელსაც მენიუში არ აქვს თეატრის ისტორია" (ახალბედა, თავისუფალ თეატრსაც კი აქვს თავის საიტზე თეატრის ისტორიის შექმნის შესახებ

მოთხოვნილი), სამაგიეროდ, ნავანყდით ლინკს თეატრის მუზეუმი", რომელზედაც მხოლოდ სამი წინადადებაა განთავსებული თეატრის შექმნის შესახებ. საიტის საკმაოდ მწირ და უსუსურ მენიუში, როგორც იქნა კონტაქტს მივაგენი. ვიფიქრე მეშველა, ვილაცას მაინც მივანვდენ ჩემს გულისწახილს საიტთან დაკავშირებით - მეტი, მაგრამ განყოფილებაში თურმე ნერილი უნდა მიწერო თეატრის (ალბათ) ხელმძღვანელობას შენი სურვილების შესახებ. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მართლაც მივწერე, მაგრამ პასუხს, ან რაიმე გამოხმაურებას უკვე ექვსი თვეა ველოდები. სამწუხაროდ, მუსიკისა და დრამის თეატრის ვებგვერდი სასწრაფო დახვეწას და შევსებას საჭიროებს.

## მონვევა საკონკურსო ვაჭრობაზე საქართველო

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი კრედიტის ნომერი: N4516 GE დაბა ჯვარის (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი) კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქციის ქვეპროექტი

RMIDP/Jvari/CW/NCB/32-2009

წინამდებარე მონვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველოში მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: დაბა ჯვარის კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქცია (კონტრაქტის # RMIDP/Jvari/CW/NCB/32-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს დაბა ჯვარის კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად.

დაბა ჯვარი მდებარეობს სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში. მოსახლეობის რაოდენობაა 10000. გზა ქალაქამდე მოასფალტებულია. მშენებლობის ტერიტორიაზე მისვლა შესაძლებელია თბილისი - ზუგდიდი - ჯვარის საავტომობილო გზით.

ქვეპროექტის განხორციელების მიზანია დაბა ჯვარის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

### სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:

- I. ასფალტობეტონის საფარის მოწყობა - 1151.0 მ<sup>2</sup>;
- II. პლასტმასის d=160 - 400 მმ მილებით - 6685 გრძ. მეტრზე კანალიზაციის ქსელის მოწყობა;
- III. კანალიზაციის ქვების მოწყობა:
  - D = 1000 მმ - ანაკრები რკ/ბეტონის ქვები, ხუფით - 289 ცალი;
  - ქვიშის საფუძვლის მოწყობა - 4667.0 მ<sup>3</sup>.
  - მინის სამუშაოები - 10070 მ<sup>3</sup>;

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“ აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მი-

ღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge); აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**  
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**  
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**  
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**  
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს: კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 2.6 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,5 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადებები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 2 ივნისის 12:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 26,000 ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 2 ივნისის 12:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**  
მისამართი: ოთახი 413, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,  
ტელ: +995-32-306189  
ელ. ფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)

# სპორტი

## თბილისისთვის ევროპა ვერცხლითა და ორი ბრინჯაოთი დასრულდა

ზინა ბურასაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ძიუდოსტთა ევროპის ჩემპიონატს თავი გავართვით. ასეთი რანგის შეჯიბრებისთვის აქამდე არასდროს გვიმასპინძლია და თუ ყველაფერი ზედმიწევნით არ შევასრულეთ, გვეპატიება კიდევ, მაგრამ ამ საქმეში გამოცდილები გვარწმუნებდნენ, რომ საქართველოს მასპინძლობა ჩაეთვალა, ჩვენი ნაკრების გადახალისებულ შემადგენლობას კი მეტნაკლებად შედეგები. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ტურნირის დაწყებამდე სამივე სინჯის მედლის მოპოვების პერსპექტივას სასურველად მიიჩნევდა.

### დღე პირველი:

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდევე საქართველოს ნაკრები ფავორიტად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, ადრეული შედეგებისა და მასპინძლის სტატუსის გათვალისწინებით, მაგრამ პირველ დღეს ორი ოქროს მედალი რუსეთის ნაკრებმა იზიგმა. თან, გენდერული თანასწორობაც დაიცვეს. ერთი ოქრო ნატალია კუზიუტინას (52 კგ.) დამსახურებაა, ხოლო მეორე - არსენ გალსტიანის (60 კგ.). ორივე მათგანი 20 წლისაა. ასაკზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ დღეის შემდეგ ისინი ყველაზე ახალგაზრდა რუს ევროპის ჩემპიონებად იწოდებიან. მანამდე ამ ტიტულით სარგებლობდა ტამარა ტემენოვი, რომელმაც 1998 წლის ოფიცის (ესპანეთი) ევროპის ჩემპიონატზე ასევე 20 წლისამ მოიპოვა ოქროს მედალი. გალსტიანის ოქროს მედალი რუსეთისთვის 1993 წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული რიგით მეხუთე მედალი ყოფილა.

პირველი დღე წარმატებული გამოდგა უნგრელებისთვისაც. მათ სამივე ხარისხის თითო მედალი დაისაკუთრეს. მიკლოშ უნგვარისთვის თბილისური ოქროს მედალი მეორე (პირველად 2002 წელს იზიგმა ჩემპიონობა), ხოლო უნგრეთის ნაკრებისთვის ამავე რანგის ასპარეზობათა მე-11 უმაღლესი ხარისხის მედალი ყოფილა. აქედან ათი ოქრო ვაუტებზე მოდის.

ტელმა მონტიეროს (57 კგ.) გამარჯვება უხაროდათ პორტუგალიის ნაკრებში. მონტიერო ერთადერთი ევროპის ჩემპიონი ძიუდოსტთა პორტუგალიელთა შორის. ეს ზოგადად, მთლიანობაში კი თბილისური ოქროს მისთვის მესამე ევროპული ტიტულია.

ასევე მესამედ იზიგმა ჩემპიონობა ფრანგმა ქალბატონმა ფრედერიკ უოსინემაც (48 კგ.). აქამდე ასეთ წარმატებას მან 2001 და 2002 წლებში მიაღწია.

ქართველთაგან პირველ დღეს საკუთარი ძალები მოსინჯეს 60 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში ნესტორ ხერგიანმა და



ქართველი ძიუდოსტებიდან მხოლოდ ვარლამ ლიპარტელიანმა იჭიდავა ფინალში.

მინდია ხომიზურმა, ხოლო ქალებში ნაია ვეშაგურმა (48 კგ.), ლუიზა ფევაძემ (57 კგ.). საღამოს სესიები კი ძიუდოს ქართველი გულშემატკივრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მხოლოდ ნესტორ ხერგიანის მესამე ადგილისთვის ბრძოლით. ნაკრების ვეტერანმა თავი არ შეირცხვინა და აქამდე მოპოვებულ ორ ოქროსა და ექვს ბრინჯაოს კიდევ ერთ ბრინჯაო შემატა.

### დღე მეორე:

გვერდს ვერ ავუვლით გულშემატკივრობას. რუსეთის ნაკრების ჩვენში არასდროს სწყალობდნენ, მაგრამ ავგისტოს ომის შემდეგ ჩვენს სიმპათიებს იმითლა გამოვხატავთ, რომ რუსის მეტოქეს ვგულშემატკივრობთ. თბილისურ ევროპის ჩემპიონატზე ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო. რუსისა და სლოვენის, რუსისა და უკრაინის, რუსისა და იტალიელის ორთაბძოლებისას სპორტის სასახლეში თავმჯდომარე იუკრაინის ან იტალიის სკანდირებდა. კარგია, რომ ეს ყველაფერი საზღვრებს არ გასცილებია. მხოლოდ დამოკიდებულებას გაესვა ხაზი.

ჩემპიონატის მეორე დღე საქართველოს ნაკრებისთვის წინა დღის ტყუპისცალი გამოდგა. ტატამზე გასული ოთხი ძიუდოსტიდან წარმატებას მხოლოდ ერთმა მიაღწია. თენგიზ პაპოშვილმა (73 კგ.), შორენა შარაძე (63 კგ.) და სალომე ნონკეულაურმა (70 კგ.) პირველივე შეხვედრები წააგეს. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ შარაძეს პირველი წრის გამოტოვება მოუწია და მარცხი მეორეში იგემა.

არ გამართლდა სტატისტიკის მოყვარულთა იმედები თუ სურვილი. საქმე ისაა, რომ სალომე ნონკეულაური წარმატების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდებოდა.

მეორე დღეს თუ ვინმე იმსახურებდა ყურადღებას ეს ლევან ნიკლაურია. მის შემთხვევაში ჩვენთვის სანიშნუი ისაა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მედალს და-

ვეუფლეთ 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში. წონაში, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის აქილევსის ქუსლად იქცა.

სხვათა შორის, 1998 წლის შემდეგ, როდესაც წონითი კატეგორიები შეიცვალა 81 კილოგრამში ოქროს მედლის მოპოვება ათმა ქვეყანამ შეძლო (ერთადერთი ვინც ორჯერ შეძლო ჩემპიონობა შვეიცარიელი სერგეი ასხვანდენია. რედ.)

დღეის იქით რუსი ივან ნიფონტოვის გამარჯვების წყალობით ამ ქვეყანათა რიცხვი თერთმეტამდე გაიზარდა.

აი, სხვა მხრივ კი ამავე წონის პეკინის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორმა გერმანელმა ლიუ ბიშოფმა ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა.

არ გაუმართლა წინააღმდეგობის ტრიუმფატორის მიკლოშ უნგვარის (66 კგ.) უმცროს ძმას ატილა უნგვარის (73 კგ.), რომელმაც ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა.

### დღე მესამე:

ორი დღის განმავლობაში მოპოვებული ორი ბრინჯაოს მედლის შემდეგ მთელი გულსიყური ჩემპიონატის დასკვნით დღეზე გადავიტანეთ იმ იმედით, რომ ნავსი გატყდებოდა და ოქროს მედალს საქართველოში დავიტოვებდით. ამასთან ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ.) შევრაცხეთ.

ქართველის გაჩემპიონება იმითაც იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ წონით კატეგორიაში ზეობას გაიხანგრძლივებდა თუ გაზრდიდა. საქმე ისაა, რომ ლიპარტელიანს მნიშვნელოვან ასპარეზობებზე მოგებათა 90,5-პროცენტის მარჯვენა ხელი აქვს (ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, ვენისა და მოსკოვის მსოფლიო თასები და ბოლოს თბილისის მსოფლიო თასი. რედ.), რაც დღესდღეობით საუკეთესო მაჩვენებელია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ ახალგაზრდა ქართველმა ძიუდო-

ისტმა, რომელიც ქართული ძიუდოს სკოლის მომავლადაა შერაცხული ფინალამდე გაიკვალა გზა. ეგაა, ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოსან ბლორუსთან წუთსა და 40 წამში წააგო. წაგებას ცრემლები მოყვა, რაც ბუნებრივი რეაქცია იყო. მეტად ახალგაზრდა და შინაურ კედლებში გამარჯვებას ლამობდა.

ჩემპიონატის დასკვნით დღეს ტატამზე საკუთარი თავი გამოსცადეს ლევან ჟორჯიანი (100 კგ.), მძიმეწონისანამ ადამ ოქრუაშვილმა, ნინო ოქელაშვილმა (78 კგ.) და მძიმეწონისანამ ირინა ლეონიძემ.

მათ შემთხვევაში მედლისთვის ბრძოლამდე საქმე ერთხელ მივიდა. თანაც თავის გამოჩენის საშუალება ირინა ლეონიძეს მიეცა. უფრო სწორად, შანსი მიეცა პირველად ქალთა ძიუდოს ისტორიაში ევროპის ჩემპიონატის მედალს დაუფლებოდა.

პირველ წრეში წაგების შემდეგ ლეონიძეს ბრინჯაოსკენ გაეხსნა გზა. რა თქმა უნდა, მეტოქის შემდეგ დამინაშურების ხარჯზე და კიდევ იმის გამოც, რომ სასურველი ეტაპზე გამსვლელ ორთაბრძოლაში ქართველის წინააღმდეგ მეტოქე არ გამოცხადდა. ერთი სიტყვით, ირინა რიგი გარემოებების გამო ავტომატურად აღმოჩნდა ბრინჯაოს მაძიებელთა შორის, მაგრამ ძალათა თანაფარდობის გათვალისწინებით აშკარა იყო, რომ ქართველი გერმანელ ფრანცისკა კონიცი მესამე ადგილს ვერ შეეცილებოდა.

ამავე წონაში ახლოს იყო პირველ ოქროს მედალთან პოლონელი ურსულა სადკოვსკა (პოლონელებს მძიმე წონაში ოქრო არასდროს მოუპოვებიათ. რედ.), მაგრამ გაბარიტების მიუხედავად, მისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა რუსი ელენა ივაშჩენკო.

საქართველოს ნაკრებმა ვაჟთა საერთო ჩათვლაში ერთი ვერცხლის, ორი ბრინჯაოსა და ჩასათვლელი მეხუთე ადგილით მეხუთე ადგილი დაიკავა.

### 5 ივნისს მოლდოვას წინააღმდეგ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოლდოვას 21 წლამდელთა ნაკრებს, ადრე გამოცხადებული 6 ივნისის ნაცვლად, 5 ივნისს უმასპინძლებს. მატჩის ერთი დღით ადრე ჩატარება სტუმართა თხოვნით გადაწყდა. შეგახსენებთ, რომ 10 ივნისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სტუმრად ალბანეთის 21 წლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდება.

### გრანტს ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს

ლონდონის ჩელსის ყოფილმა მწვრთნელმა, ებრაელმა აბრაამ გრანტმა ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციიდან მიიღო წინადადება სათავეში ჩაუდგეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. სულ ცოტა ხნის წინ ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი პეტერ რადუმ დატოვა.

“შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საუბარი გვექონდა ადამიანთან, რომელიც ბატონი გრანტის ინტერესებს წარმოადგენს. აქამდე გვესმის გულშემატკივართა საყვედურები, რომ ნაკრები რეგრესის გზაზეა, მაგრამ ჩვენ ძლიერი შემადგენლობა გვყავს და ახალი მწვრთნელის ხელში, ვფიქრობთ, არის ის პოტენცია, რომლითაც ეროვნული გუნდი სათანადო რეპუტაციას დაიბრუნებს, რაც უპირველესად შედეგში აისახება,” - ამბობს ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იაროსლავ ვაჩეკი.

### სამწვრთნელო როქი იტალიაში

სეზონის დასრულების შემდეგ იტალიაში შესაძლოა საინტერესო სამწვრთნელო როქი განხორციელდეს - ტურინის იუვენტუსს რომას ახლანდელ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის ჩაბარებენ, ხოლო დედაქალაქურ გუნდში ბებერი ქალბატონის ახლანდელი თავკაცი კლაუდიო რანიერი გადავა. ტურინული გრანდის ხელმძღვანელობას ყოველთვის თბილი დამოკიდებულება ჰქონდა კლაუდიო რანიერისთან. ისინი მუდამ მზანიშნებდნენ, რომ რანიერი გუნდის სათავეში დარჩებოდა კონტრაქტის ამონრეგამდე, თუმცა ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო დირექტორთა საბჭომ შესაძლოა თავის პოზიციას გადახედოს.

### მილუტინოვიჩს ერაყის ნაკრებს ჩააბარებენ

ცნობილი სერბი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი, რომელმაც იმით გაითქვა სახელი, რომ საშუალოზე დაბალი სიძლიერის ნაკრები გუნდები გააწყავს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ირანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ინიშნება. კონტრაქტის გაფორმების სახეობაში ცერემონია ერაყის ფეხბურთის ფედერაციასა და სერბ სპეციალისტს შორის გუნდს უნდა გამართულიყო. არ სახელდება კონკრეტული პერიოდი, რომლის დროსაც მილუტინოვიჩს ერაყის ნაკრების განვრთნა.

### დელ ბოსკე პენსიაზე გასვლას აპირებს

ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე აცხადებს, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო კარიერას დაასრულებს. “ესპანეთის ნაკრები ჩემი ბოლო სამუშაო ადგილია. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს დავრჩები აქ, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, აქედან რომ წავალ, სამწვრთნელო კარიერას დავასრულებ და მწვრთნელის რანგში არსად ვიმუშავებ. ჩემი სამწვრთნელო კარიერა იუნიორთა გუნდით დავიწყე და ახლა ეროვნულ ნაკრებს ვწვრთნი. ერთი სიტყვით, მწვრთნელის რანგში ყველა სიკეთე ენახე,” - ამბობს დელ ბოსკე.

### ფანები კანავაროს წინააღმდეგ

ტურინის “იუვენტუსის” ფანებმა იტალიის თასის ნახევარფინალური შეხვედრისას “ლაციოს” წინააღმდეგ საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ბებერი ქალბატონის გულშემატკივრები მთელი მატჩის განმავლობაში აპროტესტებდნენ კანავაროს შესაძლო დაბრუნებას. გულშემატკივრებს ვერ უპატიებიათ მისთვის 2006 წელს მადრიდის “რეალში” გადასვლა. ამასთან, პროტესტისას მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ “ინტერის” თავდამსხმელს მარინო ბალოტელის უსტვენდნენ არა კანის ფერის, არამედ მისი საქციელის გამო. “დავიდსი, სისოკო, ზეედორფი ნამდვილი გმირები და კერპები არიან,” - ასეთი ბანერი ჰქონდათ მათ გამოფენილი, რითაც მანიშნებდნენ, რომ პატივს სცემენ შავკანიან ფეხბურთელებს.

### ძოლას ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

ლონდონური ვესტ ჰემის მესვეურები კმაყოფილი არიან ჯანფრანკო ძოლას მიერ განუვლი სამუშაოთი და გუნდის იტალიელ მწვრთნელს ახალ ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. ამის შესახებ ბრიტანული მედია იწყებდა. 42 წლის იტალიელი სპეციალისტი გასული წლის 9 სექტემბერს ჩაუდგა ვესტ ჰემს სათავეში. როგორც კლუბის ხელმძღვანელობას, ისე გულშემატკივრებს მიაჩნიათ, რომ გუნდში მისი მისვლის შემდეგ ლონდონელთა თამაში გაცილებით სტაბილური გახდა.

### დევიდ ბექჰემი: "ანჩელოტი სასაცილო შეცდომებს უშვებს"

"მილანისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სანამ ის "მილანში" მივიდოდა, ანჩელოტის ინგლისურის სწავლა მანამდე ჰქონდა დაწყებული. "როცა მილანში გადავედი, ჩვენს მწვრთნელს კარლო ანჩელოტის ინგლისურის სწავლა ჰქონდა დაწყებული. ხშირად ვსაუბრობ მასთან ინგლისურად, მინდა გავარკვიო, რა დონეზეა... ანჩელოტი ისეთ გრამატიკულ შეცდომებს უშვებს, ხშირად სიტყვებს ვერ ვიკავებ. ვერ გეტყვით, რაში სჭირდება მას ინგლისური. ამბობენ, "ჩელსიში" გადადის... ამაზე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით," - ამბობს ბექჰემი.

### მოურინიო "იბრას" განცხადებებს ყურადღებას არ აქცევს

ამას წინათ ინტერის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ კლუბის შეცვლაზე უარს არ იტყოდა. ფეხბურთელის ასეთი განცხადება საერთოდ არ აღელვებს ინტერის მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს.

ვთელი, რომ ყველაფერი ნორმალურადაა. იბრაჰიმოვიჩის სიტყვები არაფრით განსხვავდება კაკას ან ტევესის გამოთქვამებისგან. მე ვამბობ, რომ გახარებული ვიყავი ინგლისის ჩემპიონატის მოგებით, ხოლო ახლა იტალიის პირველობაზე გამარჯვება მსურს. მომავალში კი მინდა ქვეყნის ჩემპიონატი ერთ-ერთ ესპანურ კლუბს მოვავებინო. შესაძლოა, რომელიმე ჟურნალისტმა ჩემი სიტყვები არასწორად აღიქვას და დაწეროს, რომ სამუშაოდ ესპანურ კლუბში მივდივარ, თუმცა, ეს ასე არ არის და მომავალ სეზონში ნამდვილად ინტერში ვიქნები. ანალოგიური ისტორია იბრაჰიმოვიჩთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ინტერში ბედნიერია, მაგრამ ოდესმე სხვა კლუბში ძალის მოხიზვება მსურს არ იტყოდა, რაც სრულიად ნორმალურია. იბრაჰიმოვიჩი ინტერში დარჩება, მიუხედავად იმისა, რას წერენ გაზეთები. თუ კლუბის პრეზიდენტი ზლატანის გაყიდვას გადაწყვეტს, მას თავად შეეძინ. ვფიქრობ, 10 მილიონამდე თანხას როგორმე მოვაგროვებ, - თქვა მოურინიო.

### ჩიპერფილდი "ბაზელში" რჩება

ავსტრალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა სკოტ ჩიპერფილდმა შვეიცარიის ბაზელთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. ჩიპერფილდი ბაზელში 2001 წელს გადავიდა და შვეიცარიის ჩემპიონატში ჩატარებულ 212 მატჩში 51 გოლი გაიტანა.

### ვიერი ბრაზილიისკენ იყურება

ვეტერანმა იტალიელმა ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ შესაძლოა კარიერა გააგრძელოს ბრაზილიურ კორინთიანსში, სადაც ახლა რონალდო თამაშობს. საკითხი 90 პროცენტით გადაწყვეტილია. ბობოს კორინთიანსში თამაში სურს, რაც თითქმის რეალობაა - განაცხადა ვიერის მენეჯერმა ფრანკ ასუნსაომ. იტალიელ ფეხბურთელს სხვა ბრაზილიურ კლუბში - ფლამენგოშიც ჰქონდა კარიერის გაგრძელების შანსი, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა. ვიერი კორინთიანსში ხელფასის სახით წელიწადში 830 000 ევროს მიიღებს.

### აურელიო ოთხ თვეს დაისვენებს

ბეტისის თურქმა ნახევარმცველმა მეჰმეტ აურელიომ ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და თანაგუნდელებს ოთხი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. აურელიომ პრემიერადივიზიონის 32-ე ტურში, ვალენსიასთან 1:2 ნაგებულ მატჩში მიიღო ტრავმა, რომელიც იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო.

### გოვე "ლიონს" დატოვებს

ფრანგული ლიონის ერთ-ერთი ლიდერი სიდენი გოვე, როგორც ჩანს, კლუბის შეცვლას აპირებს. გოვესა და ლიონს შორის არსებული კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე იწურება და ფეხბურთელმა ახალი კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა.

გადაწყვეტილება მივიღე და ის საბოლოოა. ლიონთან კონტრაქტი შეამაყება, მაგრამ მის გაგრძელებას არ ვაპირებ. კლუბში ჯერ კიდევ ორი წლის წინ აიღეს გაახალგაზრდავებისკენ კურსი და შემადგენლობის ცვლილება შეუფერხებლად მიდის. ლიონთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონობა მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა - მე და ფუნიონი პერნამბუკანომ მოიპოვეთ. ასე რომ, სიმბოლური იქნება, თუ რომელიმე ჩვენგანი გუნდს დატოვებს. საფეხბურთო სპეციალისტები მარსელს ჩემპიონობის ფავორიტად თვლიან, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება. არ უნდა დაგვაფინყდეს ბორდო, რომელსაც ჩემპიონობის პრეტენდენტებს შორის ყველაზე იოლი კალენდარი აქვს, - განაცხადა გოვემ.

### ვან გაალს ბელგიის ნაკრებში სთავაზობენ მუშაობას

ბელგიის ფეხბურთის ასოციაციამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატ ლუის ვან გაალთან მოლაპარაკება გამართა. შეგახსენებთ, რომ ბელგიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავაკაცი რენე ვანდერრეიკენი პოსტიდან მას შემდეგ გადააყენეს, რაც მისმა გუნდმა ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ნააგო. ლუის ვან გაალს ალკმართან საკონტრაქტო ვადა 2010 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, თუმცა ფეხბურთის პოლანდიელი სპეციალისტი ხელშეკრულების ნაადრევად შეწყვეტის ვარიანტსაც განიხილავს, თუ მას პოლანდიის, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთის ან არგენტინის ნაკრების თავაკაცის პოსტს შესთავაზებენ ან რომელიმე გრანდ კლუბში მიიწვევენ.

# სანამ "დინამო" ისვენებდა...

## მიხეილ აბაიშვილი

კევანძის გახსნამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე გუნდებს კიდევ 4-4 თამაში მოუწევთ, თუმცა, სავარაუდოა, რომ ოფიციალურად ჩემპიონი ბოლო ტურში გამოვლინდება. გასულ უქმეებზე გამართულ 29-ე ტურში მთავარი ის იყო, რომ ლიდერმა, თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ერთადერთ მღევართან, თბილისის "დინამოსთან" ქულათა სხვაობა ერთიდან ოთხამდე გაზარდა. თუმცა, ეს წარმატება უფრო ტექნიკურია, ვიდრე სპორტული: ამ ტურში თბილისის "დინამო" ისვენებდა, "ვიტ ჯორჯიამ" კი "მორიგე" სამი ქულა მიიმატა. დაკარგული ქულების მიხედვით მდგომარეობა არ შეცვლილა: ვეტერინარები ჩემპიონს ისევ მინიმალური უპირატესობით უსწრებენ და იმის გამო, რომ 30-ე ტურში "ვიტ ჯორჯიას" უნევს დასვენება, ფაქტობრივი სტატუს კვო ზუსტად ერთ კვირაში აღდგება.

უამინდობა, მძიმე მოედანი და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მისსავე მოედანზე მეტროპოლი ახალციხის "მესხეთი" - ამ წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდა ჩემპიონობაზე დაგეგმილ "ვიტ ჯორჯიას". დასახულ ამოცანას ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი. ასეთ მატჩებში დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებულ "სწრაფი გოლს", რაც ამ თამაშშიც დამტკიცდა. პირველი ტაიმის მე-10 წუთზე მასპინძლები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ, რის გამოც ვიტელთა თავდასხმელი გიორგი ბერიაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. გოლმა მასპინძლები არ დააბნია. მათ გაორმაგებული ძალით შეუტიეს. ორ ეპიზოდში ახალციხელები



ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ მეკარე ბათიაშვილმა მათ გოლი არ გაატანინა. 30-ე წუთიდან მოყოლებული, როცა ჩემპიონობის მაძიებლებს კიდევ ერთი შედეგიანი შეტევა გამოუვიდათ, უპირატესობას სტუმრები დაეფუღნენ და მატჩის ბოლომდე ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. მეორე გოლიც ეფექტური დარტყმით ბერიაშვილმა მიითვალა, რომელსაც ლამის ყოველ ტურში გააქვს გოლები და, სავარაუდოდ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელების ყურადღებასაც მალე მიიპყროს.

საბოლოო ანგარიში შეხვედრის მიწურულს, კერძოდ, 81-ე წუთზე დააფიქსირა "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანმა ლუკა რაზმაძემ, რომელმაც მასპინძლებს მესამე გოლი გაუტანა. "ვიტ ჯორჯიამ" 3:0 დაამარცხა "მესხეთი".

ცალკე საუბრის თემაა მესამე საპრიზო ადგილი, რომლისთვისაც ისეთივე უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარე-

ობს, როგორც ჩემპიონობისთვის. ჯერჯერობით მცირე უპირატესობა საქართველოს ექს-ჩემპიონ "ოლიმპის" მხარესაა, თუმცა, იმის გამო, რომ რუსთაველები ახლოს არიან ეროვნული თასის ფინალში გასვლასთან, შეიძლება "ზესტაფონის" უფრო დიდ შანსებზეც ვისაუბროთ. თუმცა, 29-ე ტურში "ოლიმპმა" შეძლო ორქულიანი უპირატესობის შენარჩუნება.

რუსთაველებმა უმაღლესი ლიგიდან უკვე გავარდნილ "ბორჯომს" უმასპინძლეს და გოლების წვიმა დაატყვეს სტუმართა კარს. "ოლიმპის" ფეხბურთელებმა "ბორჯომი" ექვსჯერ დაამამათეს, თუმცა, ერთი საპასუხო გოლი მიიღეს და საბოლოოდ 6:1 სძლიეს მეტოქეს.

ზედზედ განცდილი ორი მარცხის შემდეგ, რომელთაც ყველაზე მტკივნეული საკუთარ მოედანზე თბილისის "დინამოსთან" 0:4 ნაგება იყო, გია გეგუჩაძის შეგირდებმა გოლის გატანის გემო გაიხსენეს. "ზეს-

ტაფონმა" ზუგდიდელ "მგლებს" უმასპინძლა და 3 გოლი გაუტანა. რუსთაველთა მსგავსად, ზესტაფონელებმაც გამოავლინეს "სტუმართმოყვარეობა" და სტუმრებს ერთი გოლის გატანის საშუალება მისცეს.

### 29-ე ტური

სპარტაკი - სიონი	2:1
ლოკომოტივი - ვაგრა	0:1
ოლიმპი - ბორჯომი	6:1
ზესტაფონი - მგლები	3:1
მესხეთი - ვიტ ჯორჯია	0:3

ვიტ ჯორჯია	27	18	8	1	49:15	62
დინამო	26	18	4	4	56:18	58
ოლიმპი	26	13	9	4	35:18	48
ზესტაფონი	26	14	4	8	33:22	46
სიონი	26	10	9	7	29:22	39
ლოკომოტივი	26	8	7	11	26:25	31
მგლები	27	8	6	13	31:36	30
ვაგრა	27	6	7	14	21:41	25
სპარტაკი	26	5	7	14	26:41	23
მესხეთი	26	5	8	13	15:36	23
ბორჯომი	27	2	7	18	20:65	13

## "ქორეზი" პლეი-ოფიდან ბავარდნის ფლვარზე არიან

შოდ 24 წუთი მისცა. დროის ამ მონაკვეთში მან 8 ქულა და 7 მოხსნა დაავაროვა, თუმცა ქართველი ცენტრის თამაში დადებით შეფასებას არ იმსახურებს. ფაჩულიამ თამაშიდან ექვსჯერ შეუტია მეტოქის ფარს და მხოლოდ ერთხელ ტყორცნა ზუსტად, დანარჩენი 6 ქულა კი სავარიმო ტყორცნებით დაავაროვა.

ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო ზაზას მთავარი კონკურენტი ალ ჰარფორდი, რომელმაც მატჩი 13 ქულით და 7 მოხსნით დაასრულა. მეოთხედფინალის მეოთხე და შესაძლოა გადამწყვეტი მატჩი დღეს უნდა გაიმართოს. ამ თამაშსაც მაიაში უმასპინძლებს. გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის როკმა ბალტიის ლიგაში მესამე ადგილი დაიკავა. ოთხთა ფინალში როკი პირველ ეტაპზე უალგირისთან დამარცხდა და მესამე ადგილისთვის მატჩში ასკ რიგას დაუპირისპირდა.

შეგვარდნის პირველი ათი წუთი ქართველთა გუნდმა დიდი სხვაობით - 18 ქულით ნააგო. ამის შემდეგ ძნელად თუ ვინმე

იფიქრებდა, რომ როკერები ამ მატჩს შემოაბრუნებდნენ. სკეპტიკოსთა აზრი მეორე მეოთხედშივე გაქარწყლდა - ესტონელებმა პერიოდი 16 ქულით მოიგეს და შესვენებამდე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს.

მესამე ათწუთეულმაც ტარტულთა უპირატესობით ჩაიარა. გადამწყვეტი მეოთხედის წინ ლიდერის როლში უკვე ისინი იყვნენ - 5:5. ბოლო მეოთხედმა კი თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, რამაც როკს ბალტიის ლიგის ბრინჯაო მოუტანა. საბოლოოდ ტარტულელებმა 77:68 გაიმარჯვეს.

ესტონური გუნდის ამ წარმატებაში ქართველებმა ლომის ნილი შეიტანეს. ტრადიციულად, როკი იყო გიორგი ცინცაძე. მიუდანხვრე გატარებულ 35.57 წუთში გიორგის მრავალფეროვანი სტატისტიკა ჰქონდა - 15 ქულა, 8 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა და 2 ჩაჭრა. ცინცაძე ბალტიის ლიგის საუკეთესო მეპასე გახდა.

თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო ვიქტორ სანი-

კიძე, თუმცა ორმაგი დუბლის გაფორმება მაინც მოახერხა - ვიკამ 27.46 წუთში 12 ქულა და 11 მოხსნა დაავაროვა. ამის გარდა, სანიკიძემ ორჯერ პარტნიორებს ასისტენტობა გაუწია და ერთხელ მეტოქის შეტევა ჩაშალა. რიგელი კალათბურთელები მის წინააღმდეგ თამაშისას ექვსჯერ დაჯარიმდნენ.

წარმატებით აგრძელებს თამაშს უკრაინული ბკ კიევიც და ეს მანუჩარ მარკოიშვილის წყალობით ხდება. უკრაინის ჩემპიონატის მეოთხედფინალის მე-4 მატჩში ბკ კიევმა პულსარს 65:60 სძლია და სერია 3:1 მოიგო.

მანუჩარმა 13-დან 8 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი კი ააცილა. ქართველმა კალათბურთელმა ბურთი 3-ჯერ დაკარგა და ამდენივე პერსონალური ჯარიმა მიიღო.

ნახევარფინალში, რომელიც ასევე სამ მოგებადმდე გაგრძელდება, ბკ კიევი საკალათბურთო კლუბ დონეცკს უმასპინძლებს. პირველი მატჩი 3 მაისს დედაქალაქში გაიმართება.

**მონევა საკონკურსო ვაჭრობაზე  
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი  
კრედიტის ნომერი: N4516 GE**

**ქ. მარტვილის ქუჩის რეაბილიტაციის ქვეპროექტი**

**RMIDP/Martvili/CW/NCB/28-2009**

წინამდებარე მონევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადება მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველოში მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: ქალაქ მარტვილის ქუჩების რეაბილიტაცია (კონტრაქტის # RMIDP/Martvili/CW/NCB/28-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს ქალაქ მარტვილის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

ქ. მარტვილი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

კაპიტალურ შეკეთებას ექვემდებარება ქ. მარტვილის 10 ქუჩა: იჩხიას, რუსთაველის, თამარ მეფის, გამსახურდიას, გამსახურდიას I შესახვევი, ჭავჭავაძის, 9 აპრილის, წონორიას, მარტვილის I შესახვევის და გახაკიძის ქუჩები. სამუშაოები მოიცავს გზის საფარის აღდგენას, მიერთებებისა და ეზოში შესასვლელების მოწყობას.

ქვეპროექტის საბოლოო მიზანია ქ. მარტვილის მოსახლეობის სოციალური პირობებისა და მიმოსვლის გაუმჯობესება.

**ძირითადი სამუშაოების მოცულობები:**

1. ქვიშა-ხრემოვანი ნარევი 2662 კუბ.მ;
2. ფრაქციული ღორღი 3098 კუბ.მ;
3. მსხვილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტობეტონის ფენა 24 743 კვ.მ;
4. წვრილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტობეტონის ფენა 18 013 კვ.მ;
5. ბორდიურების მოწყობა 362 გრძ.მ.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“ აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დანიშნულ კონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დანიშნულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**  
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**  
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**  
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**  
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს: კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 6.5 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1.5 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადება ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 1 ივნისის 14:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 44,000 ლარის ოდენობის ან კონვერტირებადი ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 1 ივნისის 14:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**  
 მისამართი: საქართველო, თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, მეოთხე სართული, ოთახი 413  
 ტელ: +995-32-306189  
 ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

**მონევა ეროვნულ  
საკონკურსო ვაჭრობაზე**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**  
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1.04-1,**  
**ქ. სენაკის წყალმომარაგების შიდა ქსელის ნაწილის რეაბილიტაციის პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი**

**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 2 ივნისი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ქალაქ სენაკის წყალმომარაგების შიდა ქსელის ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ("სამუშაოები"). სამუშაოები მოიცავს:

**სამუშაოების ძირითადი მოცულობები:**

- სათავე ნაგებობებზე ტუმბოებისა და ურდულეების გამოცვლას
- სატუმბო სადგურის რემონტს
- სატუმბო სადგურში ახალი ტუმბოების მონტაჟს
- საქლორატორო დანადგარის მოწყობას
- 14 ქუჩაზე ქალაქის ქსელის რეაბილიტაციას.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 7 თვეს. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 0.5 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;

- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 1.5 მილიონი ლარი;

- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 0.6 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს

დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრალობა არ არის შემთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილემ უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარდანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დანიშნულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო  
 IV სართული, ოთახი 413  
 ტელ: (+995-32) 30-61-89  
 ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დანიშნულ კონკურსში მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**  
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**  
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**  
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**  
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

